დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ეთერ ბოკელავაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მედიკო ჯიქია- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანა კოკოჩაშვილი ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ელენე ხუციშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მზევინარ მჟავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212806070

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქუთაისი
იურიდიული მისამართი	ქუთაისი, გელათის ქ.N81
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი, გელათის ქ.N81
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge/schools/752
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kutaisi8@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	24 42 02

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 12 ივლისის N MES 2 23 0000868109 ბრძანება (რომელშიც ცვლილება განხორციელდა სსიპ-

	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 21 აგვისტოს N MES 1 23 0001018984 ბრძანებით)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21 და 22 აგვისტო 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი (I-VI კლასები)	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო (VII-IX კლასები)	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81

	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო (X-XII კლასები)	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, როგორც პირდაპირ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი), ასევე დისტანციურ ფორმატში (საგნობრივი ექსპერტები). ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ გარემოში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა. ვიზიტის ფარგლებში შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 350	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილი შესაბამისობა
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა
- საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N1.1.1(3)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.10.2023-მდე) სასკოლო საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილების შემუშავება.
ინდიკატორი N1.1.1(4)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე).
ინდიკატორი N1.1.1(5)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე).
ინდიკატორი N1.2.1(2)	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე) უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში ასახული იქნება

		მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.
ინდიკატორი N1.2.1(3)	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე) სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით, სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
ინდიკატორი N1.2.1(4)	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე) უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანების შესაბამის აქტივობებთან ერთად, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.1(1)	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023-მდე) სკოლამ უზრუნველყოს მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, რაც მდგომარეობს შემდეგში:** 1. სკოლამ უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციებისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული

		თოთოეული პოზიციის მიხედვით ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემის აღწერა. 2. სკოლის სტრუქტურაში ასახოს ექიმისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიციები.
ინდიკატორი N3.1.1(2)	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.03.2024-მდე) სკოლამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ისე, რომ აღნიშნული ემსახურებოდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ:** 1. უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების ფარგლებში მომსახურების გაწევა. 2. მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის კუთხით ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად გაითვალისწინოს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. 3. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირებში ასახოს მხოლოდ ის პირების/სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც რეალურად არიან დასაქმებულები/ფუნქციონირებენ სკოლაში.
ინდიკატორი N3.1.2(3)	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და	1. სკოლას მიეცა რეკომენდაცია **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2023 წ-მდე)** უზრუნველყოს 2020 წლის ივნისიდან სკოლაში

	დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	დასაქმებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში შესაბამისი ნასამართლეობის ცნობების განთავსება, თანამშრომლების სკოლაში მიღების წესის გადახედვა, ცვლილებების შეტანა და დამტკიცება. 2. სკოლას მიეცა რეკომენდაცია **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2023 წ-მდე)** უზრუნველყოს ხელშეკრულებების გაფორმება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომლეთან (ვიზტიტის დროს ხელშეკრულება არ იყო გაფომებული მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორიდინატორთან, ბუღალტერთან, 2 დამლაგებელთან, 3 მასწავლებლებთან და 1 დარაჯთან), ასევე განაახლოს 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულებები.
ინდიკატორი N3.1.2(4)	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.10.2023-მდე) უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თანამშრომლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის რეგულაციების გათვალისწინება სკოლის თანამშრომლებთან მიმართებით.
ინდიკატორი N3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.08.2024წ-მდე) უზრუნველყოს:** 1. შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის (შენობის მდგრადობის შესახებ) მოპოვება;

		2. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ მიწერილობის მოპოვება; 3. უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება; 4. სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული ინვენტარითა და მედიკამენტებით. 5. სკოლის ბიბლიოთეკის ფანჯრებზე დამცავი ჯებირის განთავსება.
ინდიკატორი N3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (29.12.2023 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს:** 1. პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების

		თანამშრომლების წერილობითი თანხმობის საფუძველზე დამუშავება; 2. პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს პირები, რომლებსაც აქვთ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება.
ინდიკატორი N3.5.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (20.07.2024წ-მდე) უზრუნველყოს:** 1. საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება; 2. სკოლის შიდა აზომვითი ნახაზების განახლება და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი N3.5.1(2)	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.03.2024წ-მდე) უზრუნველყოს მატერიალური რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კერძოდ, სასწავლო რესურსების კატალოგისა და წიგნადი ფონდის საბიბლოთეკო წარმოების წესის შესაბამისად დამუშავება.
ინდიკატორი N3.6.3(5)	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.12.2023 წ-მდე) სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით

	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება სკოლის შესახებ.
ინდიკატორი N3.7.1(2)	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.08.2024წ-მდე) უზრუნველყოს: 1. საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის ყოველი ცვლილება განახორციელოს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით; 2. შესყიდვების წლიური გეგმის ყოველი ცვლილება განახორციელოს დირექტორის მიერ გამოცემული შიდა ბრძანებების (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები) საფუძველზე. 3. სამეურვეო საბჭოს წინაშე ფინანსური საქმიანობის ანგარიშის წარადგენა სკოლის დირექტორმა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (10 დეკემბრამდე).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

ინდიკატორი N4.1.2(2)	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.03.2024 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დაცვა, კერძოდ, მოსწავლეების პირად საქმეებში დაწყებითი კლასების წლიური განმავითარებელი შეფასებების ასახვა საგნების მიხედით, მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩრების შესახებ ინფორმაციის შეტანა.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2(1)		**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023 წ-მდე) სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოების გასწორება, გამოვლენილი შეუსაბამობის გათვალისწინებით, კერძოდ:** ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები) გაწეროს გრძევლადინი მიზნების შესაბამისად, (სამიზნე ცნებები უნდა ეწეროს სწორად, სამიზნე ცნებებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნებები, სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ კლასტერს - შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს - მითითებული ავტორი და გვერდი, სასწავლო რესურსებში მოცემულ „საინფრომაციო ტექსტს“ და „ტელესკოლის გაკვეთილებს“ - შესაბამისი ელექტრონული მისამართები). კურიკულუმის ჩარჩოში

		გაწერილი კომპლექსური დავალების იდეა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, ამავდროულად,კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული უნდა იყოსძირითადადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, რომლის მიხედვითაც ნათელი იქნება, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით განხორციელდება სასწავლო პროცესი 2023 – 2024 სასწავლო წელს.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.2.1(1)	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლას მიეცა რჩევა, „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში დეტალურად აღწეროს რა მეთოდებით ახორციელებს სკოლა ინფორმაციის შეგროვებას, კვლევასა და ანალიზს.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1(3)	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას	სკოლას მიეცა რჩევა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის უკუკავშირები აწარმოოს წერილობითი ფორმით და განახორციელოს

		შედეგების დოკუმენტირება ხარისხის მართვის მიზნებისთვის.
ინდიკატორი 3.4.1(1)	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრხოების სპეციალისტის მომსახურება და შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვა.
ინდიკატორი 3.4.1(5)	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	პერსონალური მონაცემების გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, განსაზღვროს პირი/პირები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობის შესაბამისად.
ინდიკატორი 3.5.1(2)	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვოს კარადებით, თაროებით და საჭირო ინვენტარით იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ლაბორატორული რესურსები აქტიურად იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი 3.5.1(5)	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)	სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს საბიბლიოთეკო ფონდი
ინდიკატორი 3.6.1(1)	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობა
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

ინდიკატორი 4.1.2(1)	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს და ერთიან წესად აქციოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებს
ინდიკატორი 4.2.1(1)	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი გაწეროს დეტალურად მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2(1)	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თემატური ბლოკების და ცნებების ჩამატება, აგრეთვე ზოგიერთი საკითხის დაკორექტირება.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2(1)	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სკოლას მიეცა რჩევა განახორციელოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში თემატური ბლოკების და ცნებების ჩამატება, აგრეთვე ზოგიერთი საკითხის დაკორექტირება.
ინდიკატორი	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების	სკოლას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების

2.2.2(1)	გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	(ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სრულად გაითვალისწინოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწეროს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.2.2(1)	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით	სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საშუალო საფეხურის (ფიზიკა) ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სრულად გაითვალისწინოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწეროს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ (პირველ სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(1); 1.1.1(2); 1.1.1(3); მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.3.1(3); 3.6.2(1);), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი'' შესაბამისი, ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა აღნიშნული ინდიკატორების მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხოლო რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“ (პირველ

სტანდარტთან მიმართებით - 1.1.1(4); 1.1.1(5); 1.2.1(2); 1.2.1(3); 1.2.1(4); მეორე სტანდარტთან მიმართებით (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) - 2.2.2(1); მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.1(1); 3.1.1.(2); 3.1.2(3); 3.1.2(4); 3.4.1(5); 3.5.1(1); 3.5.1(2); 3.6.3(5); 3.7.1(2). მეოთხე სტანდარტთან მიმართებით - 4.1.2(3)), ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ექსპერთა ჯგუფის ვიზიტი დროს წამოადგინა მისია, რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში ასახულია ისეთი დებულებები როგორიცაა: ქვეყნის ინტერესებიდან, ტრადიციებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის, ღია სამოქალაქო საზოგადოების, კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე–ახალგაზრდობის აღზრდა. სკოლის მისიის მიზანია: საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; საბაზისო უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა. სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის. მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად

მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის სჭირო ყველა პირობის შექმნით, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით–თანაბარი შესაძლებლობების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, აგრეთვე ტოლერანტული თვისებების მატარებელი, ფიზიკურად და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდა, მოსწავლე–ახალგარდობისათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრისა და ამის მიხედვით საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის. სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის მისიაა ორგანიზებული სასწავლო პროცესითა და მაღალხარისხიანი განათლებით დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოსწავლე– ახალგაზრდობის აღზრდა. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სკოლის მისია, დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ ჰქონდა დამტკიცებული ხედვა, თუმცა 1.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია მისია და ხედვა. სკოლის მცირედით რედაქტირებული და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული მისია, თავისი შინაარსით ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. რაც შეეხება ხედვას, სკოლის უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში საკუთარ პრიორიტეტებში ხედავს მოსწავლეებმა მიიღონ ისეთი განთლება, რომ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება, რისთვისაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინკლუზიური სასწავლო გარემო მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხო, ტოლერანტული, მეგობრული, პოზიტიური და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნას.

დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“ და 1.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილ სკოლის მისიაში ასახული იყო სკოლის მისიის მიზანები: საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა; აქედან გამომდინარე, სკოლას გააზრებული ჰქონდა საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურული სივრცედ ჩამოყალიბების თვალსაზრისით. თუმცა მისიაში არ ჩანდა თუ როგორ ხედავდა სკოლა სასკოლო გარემოს როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო სივრცეს. ასევე, სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული ხედვა და მხოლოდ წარმოდგენილი ხედვის პროექტის საფუძველზე ვერ შეფასდა, ხედვით განსაზღვრავდა თუ არა სკოლა საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ ჰქონდა დამტკიცებული ხედვა, თუმცა 1.1.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა დამტკიცებული 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია მისია და ხედვა. მისიით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას კი სკოლა ხედავს უსაფრთხო, ტოლერანტული, მეგობრული, პოზიტიური და თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნაში. შესაბამისად, დადგინდა, რომ მისიითა და ხედვით სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,შეესაბამება" და 1.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიული დაგეგმვის ისეთ პრინციპებს როგორიცაა გუნდური მუშაობა და თანამონაწილეობა. სტრატეგიული დაგეგმვის ნაწილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირებაც. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები მისიის, ხედვისა და ღორებულებების შემუშავების პროცესში. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით შეიქმნა მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც დაევალა ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება 2023 წლის ივნისიდან ივლისის პერიოდში. სკოლამ წარმოადგინა დროში გაწერილი გეგმა 2023 წლის 10 ივნისიდან 15 ივლისამდე, თუმცა ვერ წარმოადგინა გაწეული საქმიანობის დამადასტურებელი მასალები, რომლებიც დაადასტურებდა გეგმის შესრულებას. გარდა ამისა, ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი შედგება სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და 4 საგნობრივი ჯგუფის კათედრის წარმომადგენლისაგან. სამუშაო ჯგუფი სკოლამ უნდა დააკომპლექტოს ისე, რომ მასში შედიოდეს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენელი, კერძოდ მასწავლებლებისა და დირექციის გარდა შემუშავების პროცესში ჩართოს მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, მოსწავლე და სხვა პირები, რომლებიც შეძლებენ სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის თუ აზრის დაფიქსირებას, რაც შესაძლებელს გახდის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.07.2023-30.10.2023. ასევე, თანდართული დოკუმენტების სახით წარმოადგინა დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის ფილოსოფია. სკოლას არ წარმოუდგენია ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტები. გარდა ამისა, ფილოსოფიაში სკოლის ღირებულებებად მიჩნეულია დებულებები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარმოადგენს გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლების შედეგად. შესაბამისად, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ინდივიდუალურიად საკუთარი საზოგადოებისთვის და თემისთვის აქტუალური ღირებულებები. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ

შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ და სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილების შემუშავება.

4. ექსპერთა ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილი მოქმედი მისია ასახული იყო 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომლის საჯაროობაც უზრუნველყოფილი იყო სკოლის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. ვიზიტის ეტაპზე, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით განსაზვრული იყო სკოლის მისიის (რევიზია), ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ვადები (2023 წლის 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით), უკუკავშირის მიღების მიზნით. თუმცა სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო დამტკიცებული ვერსიები. შემუშავების ეტაპზეც სკოლის ახალ ვებ-გვერდზე გაზიარებული იყო სკოლის მისია (განსხვავდება დამტკიცებული მისიის ვერსიისგან) და ხედვა (რომლიეც ასევე არ არის დამტკიცებული). თუმცა გაზიარებული არ იყო ღირებულებები არც პროექტის სახით და არც საბოლოო სახით ფორმულირებული. ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული საბოლოო სახით ფორმულირებული მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისად, ვერ დადგინდა სასკოლო საზოგადოებისათვის სკოლის ფილოსოფიის გაზიარების ფაქტი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 6.09.2023-31.12.2023. ასევე, სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დადგინდა, რომ დამტკიცებული ფილოსოფია განთავსებულია საჯაროდ, თუმცა ექსპერთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის ღირებულებების ფორმულირება და ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება.**

5. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლის მოქმედი მისია, როგორც 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად გასაჯაროვდა გასული სასწავლო წლის დასაწყისში. თუმცა, ვებ-გევრდის დათვალიერებით დადგინა, რომ მასზე განთავსებული მისია განსხვავდებოდა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში დეკლალირებული მისიისგან. სკოლას რევიზიის შედეგად არ ჰქონდა დამტკიცებულია ახალი მისია, ასევე არ ჰქონდა დასრულებული მუშაობა ხედვასა და ღირებულებებზე. სკოლის მოქმედი მისია და ხედვა, როგორც 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი დამტკიცდა პედაგოგიური საბჭოს მიერ 2023 წლის 7 სექტემბერს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.1.1(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 6.09.2023-31.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შემუშავებული და დამტკიცებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. **ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, 1.1.1 (6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის ფილოსოფია;
- სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ 2023 წლის 5 მაისის N2-34 ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმარებისა და მეთოდოლოგიის პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ 2023 წლის 5 მაისის N2-35 ბრძანება;
- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მხარეთა ფართო ჩართულობით განხორციელებული თანამშრომლობითი პროცესია. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი ეტაპია ინფორმაციის შეგროვება, კვლევა და ანალიზი (SWOT). შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **სკოლას მიეცა რჩევა, დეტალურად აღწეროს რა მეთოდებით ახორციელებს სკოლა ინფორმაციის შეგროვებას, კვლევასა და ანალიზს. შესაბამისად, 1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას არ აქვს სკოლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით შემუშავებული და დამტკიცებული შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა დაწყებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარებისა და მეთოდოლოგიის პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ბრძანებით, რომლის დანართითაც ასევე წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საჭირო დროში გაწერილი გეგმა. შექმნილია მისიასა და ხედვაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი და შედგენილია შესაბამისი სამოქმედო გეგმა, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ვერ იქნა წარმოდგენილი საბოლოო სახით ჩამოყალიბებული და დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 4.09.2023-31.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც**

დაეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში ასახული იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.

3. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, თუმცა ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა. შესაბამნისად, ვერ დადგინდა, აღნიშნული ერთწლიანი გეგმა შეესაბამება თუ არა სტრატეგიულ მიზნებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდება ახალ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 4.09.2023-31.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.**
4. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლამ წარმოდგინა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა აქტივობებს, კალენდარულ თვეებზე გაწერილ შესრულების ვადებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს. გეგმაში არ იყო გამოკვეთილი რომელია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელიც უზრუნევლყოფს დასახული მიზნების მიღწევას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-31.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანების შესაბამის აქტივობებთან ერთად, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებისა და შესრულებისთვის საჭირო რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) ასახვა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის მისიასა და ხედვაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ 2023 წლის 5 მაისის N2-34 ბრძანება;
- სტრატეგიული დაგეგმარებისა და მეთოდოლოგიის პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ 2023 წლის 5 მაისის N2-35 ბრძანება;

- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“.
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია ითვალიწინებს, სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ანგარიშების წარდგენასა და ცვლილებების მომზადებას. კერძოდ, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიშს ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული). სტრატეგიული გეგმის გეგმიური გადახედვა ხორციელდება სულ მცირე 3 წელიწადში ერთხელ. არაგეგმიური გადახედვა/შეფასება შესაძლებელია ინიცირებულ იქნას სკოლის დირექტორის მიერ, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში. მიმოხილვის პროცესი ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სპეციალურად ფორმირებული ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი და კოორდინაციას უწევს დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი/სტრუქტურა. ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს საკუნსულტაციო განხილვები სხვადასხვა შიდა თუ დაინტერესებულ პირებთან და მოამზადოს მიმოხილვის/შეფასების ანგარიში. ფორმირებისთანავე ჯგუფი შეიმუშავებს საკონსულტაციო შეხვედრების/განხილვების გეგმას. გეგმა უნდა ასახავდეს რომელ ჯგუფებთან რა სახის საკონსულტაციო პროცესი გაიმართება და რა ვადებში. შეფასების ანგარიშს დირექტორი წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს და თანამშრომლებს და მათთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას გასატარებელი ცვლილებების შესახებ. **ვინაიდან სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, შესაბამისად, 1.2.2 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. *ვინაიდან სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
3. *ვინაიდან სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*
4. *ვინაიდან სსიპ ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნული ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ შეფასდება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექიმი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ცეცხლფარეში, დარაჯი და დამლაგებელი.
   ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა, მასწავლებელბეთან/სპეციალურ მასწავლებელთან არ არის ხელშეკრულებები გაფორმებული სტატუსების შესაბამისად. **სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი ექიმის ფუნქციები სრულად არ მოიცავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით ექიმისათვის დადგენილ კომპეტენციებს.** ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე სკოლას დასაქმებული არ ჰყავდა ექიმი, თუმცა ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა კონკურსი.
   შესაბამისად, სკოლას განემარტა, რომ ყველა თანამშრომელთან უნდა გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკურლებები, სადაც იქნება გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები, მათ შორის მასწავლებლებთან უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით. ასევე, სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტში გაიწეროს შესასრულებელი ფუნქციები საშტატო განრიგით განსაზღვრული თითოეული პოზიციის მიხედვით.
   სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა სტრუქტურული ერთეულების დაკომპლექტებისა და არჩევის პროცედურა.
   სკოლის წარმომადგენლბის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მაგრამ სკოლამ ვერ წარმოადგინა ჯგუფის საქმიანობის

მარეგულირებელი დოკუმენტი და საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები/ოქმები. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნირების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად.

სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა სკოლაში დასაქმებული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც არ იყო დამტკიცებულის სკოლის შიდა აქტით, ასევე მასში არ იყო გათვალისწინებული ყველა დასაქმებული პირის ფუნქცია.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023-31.12.2023. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია აღნიშნული პირების ფუნქციები, გარდა ცეცხლფარეშის, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ფუნქციებისა და არ არის გაწერილი თითოეული პოზიციის მიხედვით ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემა. ასევე, სტრუქტურაში არ არის ასახული ექიმისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების ფუნქციებისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული თოთოეული პოზიციის მიხედვით ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების სისტემის აღწერა. ასევე, სტრუქტურაში ასახოს ექიმისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიციები.

2. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკარის საქმიანობა რეგულირდება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით, შრომითი ხელშეკრულებითა და სრუქტურულ ერთეულთა დებულებაში გაწერილი ბიბლიოთეკარის ფუნქციებით.

   სკოლის ყველა თანამშრომელთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, ხოლო არსებული ხელშეკრულებების პირობები არ განახლებულა 2014 წლის შემდეგ. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია პასუხისმგებელი პირები, **თუმცა მასში არ არის გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის კუთხით პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, როგორც პასუხისმგებელი**

სტრუქტურული ერთეული. დოკუმენტში პასუხისმგებელ პირებში გაწერილია ფასილიტატორი და შეფასების ჯგუფი, რომლებიც სკოლაში აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, სკოლაში არსებულ პოზიციებზე დასაქმებული პირების მიერ სამუშაოს შესრულება ბუნდოვანია თუ როგორ ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე არ იყო დასაქმებული ექიმი, შესაბამისად, ვერ ხორციელდება სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების ფარგლებში გასაწევი მომსახურება. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩაშლის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 21.08.2023-31.03.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი სამედიცინო პერსონალის დასაქმება და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირების ფარგლებში გასაწევი მომსახურება, მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის კუთხით ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულად გაითვალისწინოს პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირებში ასახოს მხოლოდ ის პირების/სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც რეალურად არიან დასაქმებულები/ფუნქციონირებენ სკოლაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმა;
- სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგნობრივი კათედრების, პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები და სამუშაო გეგმები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

   სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. კერძოდ, როგორ რეგულირდება კადრების მოზიდვა და შერჩევა, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია, შესრულებული სამუშაო შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლის კონკურსის წესით შერჩევის პროცედურა. სკოლასთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების კონკურსის გამოცხადებისას, საჭიროების შემთხვევაში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმით'', ხოლო მასწავლებლის კონკურსის გამოცხადებისას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით''. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში გამოაცხადა მასწავლებლისა და ექიმის კონკურსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პროცედურებისა და ვადების დაცვით.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო; დასვენების დრო; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესი; წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; მატერიალური პასუხისმგებლობა; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას პრაქტიკაში დანერგილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, შესაბამისად, 3.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და კონკურსის გამოცხადებისას, დასაქმების ვებ-გვერდზე - teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც დასტურდება სკოლის მეირ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციითა და teacherjobs.ge-ზე განთავსებული ვაკანსიებით. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, მასწავლებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისა და ექიმის/ექთნის გარდა სხვა დასაქმებული შესაძლოა შერჩეულ იქნას დირექტორთან გასაუბრების გზით, საჭიროების შემთხვევაში კი კონკურსის გზით.
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით გამოირკვა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტარციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში და გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექციის განმარტებით ფუნქციების დორული გადანაწილებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისად, 3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის

დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' და ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის მიერ დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში'' ასევე გაწერილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც სკოლა აზუსტებს დასაქმების ვებ-გვერდზე განაცხადის გამოქვეყნებისას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობით განსაზღვრული წევრებისგან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლის წარმომადგენლები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის პროცედურების შესახებ და მსგავსი საჭიროების დადგომის შემთხვევაში გამოითქვა მზადყოფნა კონკურსი ჩაატაროს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები და 2020 წლის ივნისში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარდგენილი მონაცემები სკოლაში დასაქმებული პირების შესახებ. შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლების ნაწილის პირად საქმეში არ არის განთავსებული ნასამართლეობის ცნობები, კერძოდ, 9 მასწავლებლების პირად საქმეში არ იყო განთავსებული ზოგადი ნასამართლეობის ცნობები, ხოლო 1 მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობები. ასევე, 1 მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო განთავსებული ზოგადი ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის ცნობები. მათგან ორმა მასწავლებელმა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პროცესში წარმოადგინეს ცნობები, რომ უკვე მიმართული აქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის შესაბამისი ცნობების მიღების მოთხოვნით. გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა 1 მასწავლებლის და სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პირადი საქმეები. ასევე, **ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორიდინატორთან, ბუღალტერთან, 2 დამლაგებელთან, 3 მასწავლებლებთან და 1 დარაჯთან.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(3) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 23.09.2023-29.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დასაქმებულების პირად საქმეში შესაბამისი ნასამართლეობის

ცნობების განთავსება და პირადი საქმის წარმოება სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის. ასევე, უნდა გაიწეროს მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომლების სკოლაში მიღების წესი და უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელთან.

4. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 35 თანამშრომელი, მათგან 25 მასწავლებელია (21 უფროსი, 3 წამყვანი, 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი). სკოლაში ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული იყო დირექტორის მ/შ (1), ბუღალტერი (1), საქმისმწარმოებელი (1), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორინატორი (1), ბიბლიოთეკარი (1), ცეცხლფარეში (1), დარაჯი (2), დამლაგებელი (3). პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, **სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი ექნებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომლებისათვის, თითოეული პოზიციის მიხედვით და დადგენილი საკავლიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად წარმოსადგენი დოკუმენტაცია.**
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2(4) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023-30.10.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და თანამშრომლების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის მარეგულირებელი დებულებების შემუშავება სკოლის თანამშრომლებთან მიმართებით.
5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპი დამკვიდრებული პრაქტიკაა სკოლაში. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზეც. მასწავლებლები ჩართულები არიან კურიკულუმების შექმნის პროცესში და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ურთიერთთანამშრომლობით სხვადსხვა კათედრაზე იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, მრჩეველთა საბჭოს, საგნობრივ კათედრებს, ხარისხიხს განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფს, აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. **შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს და 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად სკოლას მოტივირების ფორმად მოიაზრებს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რაც მიმართულია კვაიფიციური პერსონალის მოზიდვისა და

შენარჩუნებისაკენ. ადამიანური რესურსების მართვლის პოლიტიკაში ადამიანური რესურსების მართვის ციკლის ნაწილად გაწერილია სამუშაოს მართვა, რომელიც აერთიანებს შეფასების, დისციპლინური სასჯელისა და წახალისების პროცესებს. თანამშრომელთა მოტივაციის ზრდის მექანიზმად გამოყოფილია წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

მოტივაციის ზრდისა და წახალისების აღნიშნული ფორმები ასევე გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით სხვადსხვა საფუძვლის დადგომის შემთხვევაში.

როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, წარმატების გაზიარება ხდება პედაგოგთა და კათედრების შეხვედრებზე, ასევე სოციალური ქსელი მეშვეობით. 2023 წლის 17 ივნისს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციამ ჩაატარა მასწავლებელთა I მეთოდური კონფერენცია „თანამშრომლობა ჩვენი მომავლისათვის-ჩემი ერთი წარმატებული აქტივობა“. კოფერენციაზე მოწვეული იყო ქუთაისის საჯარო სკოლების მასწავლებლები და სტუმრები. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი მოხსენებით: „კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება ქიმიის სწავლების პროცესში“ და ბიოლოგიის მასწავლებელი მოხსენებით: „გულის ანატომიური აგებულებისა და სისხლის მიმოქცევის შესწავლა“. კონფერენციის მონაწილები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით და სერთიფიკატებით. აღნიშნული წარმატება გაზიარებულ იქნა სკოლის სოციალურ ქსელში.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
- სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- სკოლის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია წარმატების გაზიარების თაობაზე.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამაინური რესურსების მართვის პოლიტიკა'' ითვალისწინებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატიურ შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას. შეფასების სისტემა ეფუძნება ზრდასრულთა სწავლების კონცეფციას და ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს: პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნა; აქტიური მონაწილეობის წახალისება; გამოცდილებაზე დაყრდნობა; კოლაბორაციული კვლევა-ძიება; სწავლა მოქმედებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში შეფასების ფორმებად გაწერილია 360 გრადუსიანი შეფასება, შეფასება უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასება, გასაუბრება,

კრიტიკული შემთხვევები და სამუშაო სტანდარტები, ხოლო შეფასები ეტაპებად სკოლა მოიაზრებს დაგეგმვას, თვითშეფასებას, გასაუბრებასა და საბოლოო შეფასებას.

სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან საქმოქმედო გეგმაში გაწერილია მასწავლებლების პროფესიული განვითარება, როგორც სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი აქტივობები, როგორიცაა: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა, პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა (ინოვაციური სტრატეგიები/ მეთოდები; სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება), ტრენინგ- სემინარებზე მიღებული ცოდნის კონსულტირება და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/ სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები და 3.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.*ვინაიდან ხორციელდება პირველადი დავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.*

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის'' დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- მოქნილობა;
- სწავლის მხარდაჭერა;
- შეფასება, როგორც სწავლის საშუალება;
- პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
- უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება.

კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. გარდა ამისა, სკოლის პედაგოგები აქტიურად ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლების სერტიფიკატები და ცნობები. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება მასწავლებლების გაკვეთილებს და აძლევს უკუკავშირს. **სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნული უკუკავშირები აწარმოოს წერილობითი ფორმით და განახორციელოს შედეგების დოკუმენტირება ხარისხის მართვის მიზნებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა'' ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას. სკოლის მიერ შერჩეული პირის მიერ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენისთვის სკოლა

მნიშვნელოვნად თვლის, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე შემდეგი ეტაპების გავლით:

- მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
- შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;
- „ოჯახის წევრობა“ - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.

ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფი ადაპტაციის მიზნით, სკოლა ეხმარება მათ გაეცნოს დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, ქმნის პოზიტიურ და თანამშრომლობით გარემოს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, უსაფრთხოების ნორმებს. აღნიშნული დასტურდება სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებითაც. **შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, შეფასების სისტემა ეფუძნება აქტიური მონაწილეობის წახალისების პრინციპს. ასევე, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ პროფესიული განვითარების კუთხით არსებული საჭიროებები. სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებს ადმინისტრაციული მხარდაჭერით მონაწილეონა მიიღონ სხვადასხვა ტრენინგებში. **აღნიშნულის გათვალისწინებით, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის'' მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომებს. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი მოიცავს ,,დაგეგმე, შეასრულე, შეაფასე, განავითარე'' პრინციპებს. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით თუ როგორ არის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. სკოლა უზრუნველყოფს შიდა და გარე შეფასების გამოყენებას, რათა შეაფასოს ხარისხის ეფექტურობა, ასევე, დასახოს ახალი პერსპექტივები და უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ მთავრდება შიდა და გარე უკუკავშირის,

ანგარიშის მიღების ან სკოლის ფარგლებში მიმდინარე შემდგომი პროცესებით. სკოლა უზრუნველყოფს ხარისხის შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებას მომდევნო შეფასებისათვის. დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სკოლაში დასაქმებული ყველა პირი პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებაში. **შესაბამისად, 3.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას აქვს გაწერილი შემუშავებულ დოკუმენტაციაში, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სტრუქტურულ ერთეულთა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რეფერირების შიდა წესი და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლას შემუშავების პროცესში აქვს მმართველობითი პროცესის ამსახველი სკოლის ფილოსოფია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას იდენტიფიცირებული და გააზრებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლაში, რაც უზრუნველყოფს მისიისა და ხედვის რეალიზებას. **შესაბამისად, 3.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლში გაწერილია, რომ სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობთ დადგენილი წესით, თუმცა არ არის გაწერილი რას გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები, კერძოდ, არ არის განმარტებული როგორ ხდება საჩივრის მიღება, დასაშვებად ცნობა, განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და გაცნობა. შინაგანაწესი დეტალურად მოიცავს ჩანაწერს მხოლოდ დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის არამართლზომიერი გადაწყვეტილებები და ქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. შინაგანაწესსა და ხელშეკრულებებში მოცემული დებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი რეგულაციებით და ბუნდოვანია განმცხადებელმა/საჩივრის ავტორმა თუ რა ზომებს უნდა მიმართოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზებისთვის. გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს დეტალური, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად აღსაქმელი და ხელმისაწვდომი, თუმცა სკოლას ვიზიტის ეტაპზე არ ჰქონდა წარმოდგენილი საჩივრების განხილვის ამგვარი მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი რაიმე სახის მარეგულირებელი დოკუმენტი და მტკიცებულება. **სკოლამ 3.3.1(3) ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შიდა აქტით დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი დაინტერესებული პირების მიერ სკოლისათვის განცხადებითა და საჩივრით მიმართვის პროცედურები, საჩივრისა და განცხადების განხილვის ეტაპები, საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი პირები/სტრუქტურული ერთეულები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.**

შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,შეესაბამება" და 3.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისიცპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შიდა რეგულაციებითა, რაც გარანტირებული აქვთ ზოგადი განთლების შესახებ საქართველოს კანონით. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის შიდა მარეგულრებელი დოკუმენტაცია.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც სკოლა აქვეყნებს სკოლის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და საჭირო ინფორმაციას. სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს ინფორმაციის განსათავსებლად. მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს, ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობა-მიწოდება. სკოლას უკვე აქვს გააქტიურებული ვებ-გვერდი პორტალზე, რომელზეც მომავალში გეგმავს განათავსოს ყველა მნიშვნელოვანი რეგულაცია და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის საქმისმწარმოებელი განსაზღვრულია ბრძანებების გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად. ინფორმაციის პედაგოგებისათვის გაზიარება და უკუკავშირის მიღება ხორციელდება კათედრების სხდომებზე, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. **შესაბამისად, 3.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით, რიღაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგდოების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება **სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის წევრობით.** სამეურვეო საბჭო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სკოლის ბიუჯეტთან, დისციპლინური კომიტეტის არჩევასთან, სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან, ფართის სარგებლობის უფლებით გაცემასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

   პედაგოგიურ საბჭოში მასწავლებლების ჩართულობით მიიღება ისეთი მნიშნელოვანი გადწყვეტილებები როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, წარმომადგენლის არჩევა დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში და სხვა. აღნიშნულის მაგალითია პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება დაჯილდოებაზე წარსადგენად წარმატებული მასწავლებლების შერჩევასთან დაკავშირებით. **საგნობრივ კათედრებზე მასწავლელები იღებენ გადაწყვეტილებას** საათების განაწილების, სასწავლო რესურსების შერჩევის და სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ.

   დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. **მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია** სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლისგან **(პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეები, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრსი წარმომადგენელი, რომლებიც თანამონაწილეობით იხილავენ** სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის

დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს. გარდა ამისა, მშობელთა კრებებზე განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და ხდება მათი აზრის დაფიქსირება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ოქმები.
- სკოლის მიერ დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობაში განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, სკოლის პერიმეტრი შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს 2 დარაჯი ღამის საათებში, ხოლო დღისით შემოსასვლელ კარს აკონტროლებს პირველი სართულის მორიგე მასწავლებელი. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც აღჭურვილნი არიან მეტალოდეტექტორებით. სკოლის შინაგანაწესის 23-ე მუხლის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილება დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით.

   სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები'', რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის მიერ გასატარებელი ღონისძიებები, ფიზიკური უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და აღნიშნული პროცესების შეფასების მექანიზმები.

   შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე და სახანძრო ინვენტარის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, ასევე არ აქვს მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და მათი აღმოფხვრის შესახებ, თუმცა სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელზე გაგზავნილი წერილი აღნიშნული დასკვნის შედგენის თაობაზე.
   სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ), თუმცა წარმოადგინა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის მიწერილი წერილი, აღნიშნული დასკვნის მომზადების თაობაზე.
   სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმებიც'' ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ყოლას. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვია მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ექიმის შტატი, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს დასაქმებული ექიმი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში გამოცხადა კონკურსი დასაქმების ვებ-გვერდზე განაცხადის განთავსებით. როგორც დათვალიერებით დადგინდა, სამედიცინო კაბინეტში არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სრული აღჭურვილობა და მედიკამენტები. დირექციამ გასაუბრებისას განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდება სამედიცინო კაბინეტის ყველა ინვენტარითა და მედიკამენტით აღჭურვა.

სკოლის ბიბლიოთეკის დათვალიერებისას დადგინდა, რომ ბიბლიოთეკის ფანჯრები განლაგებულია იატაკთან ახლოს და არ არის დამცავი ჯებირი, შესაბამისად, მიახლოება არის საფრთხის შემცველი.

ვიზიტის ეტაპზე სკოლამ წარმოადგინდა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც ითხოვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შეთანხმება. ხოლო შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, თუმცა არ წარმოუდგენია შესაბამის უწყებასთან შეთანხმების წერილი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 4.09.2023-30.08.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში მოიპოვოს შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნია (შენობის მდგრადობის შესახებ), მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნა/სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ მიწერილობა, წარმოადგინოს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი)

ფუნქციონირების წესით განსაზღვრული ინვენტარითა და მედიკამენტებით. ასევე, ბიბლიოთეკის ფანჯრებზე განათავსოს დამცავი ჯებირები.

2. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ წესრიგს. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით“ და განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერბაზე უფლებამოსილი პირები აკონტროლებენ სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ნივთებით გამოცხადებას. სკოლას შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული აქვს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი და კონტროლზე პასუხიმსგებელი პირის შესახებ ინფორმაცია. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები'' ითვალისწინებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს.
   სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომელშიც განხილულია რეკომენდაციები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით.
   სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის და საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ნორმრები.
   შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
3. სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან თავი ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. კერძოდ, სკოლა სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო გზით ავრცელებს ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებაში, რომ მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება შეუძლიათ მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები'' მოიცავს რეგულაციებს

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის მიერ გასატარებელ საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებსა და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების პირობებს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

შესაბამისად, დგინდება, რომ 3.4.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას ურუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარურლი რესურსების გამოყენებით. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები'' ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში დასაქებულია 3 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები მამაკაცებისა და ქალებისთვის, გოგონებისა და ვაჟებისთვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). **აღნიშნულიდან გამომდინარე. 3.4.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების არსი, მონაცემების დამმუშავებელი სუბიექტი, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის ვალდებულება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები და დადგინდა, რომ ხელშეკრულებით არ არის დარეგულირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობა, მაშინ როდესაც სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირდი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, გამოსახულება და სხვა, ხოლო სკოლას მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია თუ რა ინფორმაციის დამუშავებაზე აცხადებს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას. სკოლამ თანამშრომლებისგან უნდა მოიპოვოს წერილობითი თანხმობა (შესაძლოა გაწეროს შრომით ხელშეკრულებაში) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებაზე. ასევე, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული პირები, რომლებსაც წვდომა აქვთ პერსონალურ მონაცემებზე. არ არის განსაზღვრული თუ რა სახის მონაცემები მუშავდება კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ (მაგალითად: ბუღალტრის მიერ, საქმისმწარმოებლის მიერ და სხვა). გარდა ამისა, სკოლას მიეცა

რჩევა განსაზღვროს პირი/პირები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 25.09.2023-29.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია პერსონალური მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების, დამუშავება უზრუნველყოს თანამშრომლების წერილობითი თანხმობის საფუძველზე, ასევე, პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ განსაზღვროს პირები, რომლებსაც აქვთ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება.

6. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები ადგენს, რომ დამმუშავებელი და კონტროლის განმახორციელებელი პირები ვალდებულები არიან, მიიღონ ყევლა ტექნიკური და ორგანიზაციული ზომა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის, რათა არ მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის არაკანონიერი განადგურება, არაკანონიერი დამუშავება და გაცემა. **შესაბამისად, დგინდება, რომ ინდიკატორი 3.4.1(6) დაკმაყოფილებულია.**
7. ***ვინაიდან ხორციელდება სკოლის პირველადი ავტორიზაცია, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები’’;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მომზადების თაობაზე;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი საგანგებო რეაგირების გეგმის შეთანხმების თაობაზე;

- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- რეფერირების შიდა ინსტრუქცია და რეფერირებაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის (მომზადებულია 26.04.2016) თანახმად, სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 3857.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები ფართით N1- 2712.47კვ.მ. N2-16.96 კვ.მ. N3-57.35 კვ.მ. თუმცა, სკოლის შენობა არის ახალი რეაბილიტირებული და ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ რეაბილიტაციის შედეგად, სკოლის შენობა შედგება სასწავლო კორპუსისა და საქვაბე შენობისგან და აღარ არსებობს შენობა N3, საჯარო რეესტრის ამონაწერებში კი კვლავ ფიქსირდება 3 შენობა-ნაგებობა (N1, N2, N3). საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გვერდზე ექსპერტების მიერ გადამოწმდა საჯარო რეესტრის ამონაწერის ბოლო განახლება (მომზადებულია 22.03.2019), რომლის თანახმადაც ფიქსირდება იგივე ფართი, რაც 2016 წლის ამონაწერში. **შესაბამისად, საჯარო რეესტრის ამონაწერი გასაახლებელია და მოსაყვანია შესაბამისობაში ფაქტობრივ მდგომარეობასთან. გარდა ამისა, სკოლის შიდა საზომვითი ნახაზები სკოლის რეაბილიტაციის შემდეგ არ შეესაბამება არსებულ რეალობას, კერძოდ, შეცვლილია შენობის შიდა ტიხრები.**
   სკოლის შენობა სამ სართულიანია. შენობაში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, არქივის ოთახი, ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, რესურსოთახი, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), სამედიცინო კაბინეტი, მანდატურის ოთახი, დარაჯის ოთახი, სამეურნეო სათავსოები, სამასწავლებლო, მუსიკის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია (საპრეპარატო ოთახებით), სპორტული დარბაზი გასახდელებით (გოგონების და ვაჟების ცალ-ცალკე), 2 სააქტო დარბაზი და საპირფარეშოები. საპირფარეშოები განთავსებული ყველა სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია შენობების ყველა სართულზე. სკოლას აქვს ეზო. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე შესასვლელად და ლიფტი სამივე სართულზე. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით. სააქტო

დარბაზში არის სკამები, მუსიკალური ინსტრუმენტი და სცენა, რომლებიც გამოიყენება ღონისძიებებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა ნივთებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარები და უზრუნველყოფილია წყლით. **ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი სავენტილაციო სისტემა, თუმცა არ არის დამონტაჟებული გამწოვი კარადა, რომლის გარეშეც აკრძალულია გარკვეული ცდების ჩატარება.** სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი. სკოლა აღჭურვილია 19 პერსონალური კომპიუტერით (15 - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, 4 - ადმინისტრაციისთვის), 3 მასწავლებელს გადაცემული აქვს ლეპტოპი ინდივიდუალურ სარგებლობაში, რომელსაც იყენებს დაწყებით კლასებში სასწავლო მიზნებისთვის. სკოლას ბალანსზე ერიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული 380 ინდივიდუალური მერხი. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა.

სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მხატვრულ ლიტერატურას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023-20.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საჯარო რეესტრის ამონაწერისა და სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზების განახლება.

2. როგორც მასწავლებლებთან და დირექციასთან გსაუბრებით დადგინდა, სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს და სხვა რესურსებს. აღნიშნული დასტურდება სკოლაში ჩატარებული აქტივობებითაც. სკოლის რესურსოთახში არსებული რესურსებით სარგებლობენ სსსმ მოსწავლეები. აქვს კეთილმოწყობილი სამასწავლებლო, სადაც შექმნილია მასწავლებლებისთვის კომფორტულად სამუშაო პირობები. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას, სივრცე არ არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, სადაც მოხდება რესურსების განლაგება და სასწავლო პროცესში გამოყენება. **სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვოს კარადებით, თაროებით და საჭირო ინვენტარით იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ლაბორატორული რესურსები აქტიურად იქნას გამოყენებული სასწავლო პროცესში.**

სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელშიც გაწერილია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები, წიგნების გაცემის წესი და სხვა. თუმცა, როგორც ბიბლიოთეკის რესურსების დათვალიერებით დადგინდა, **წიგნადი ფონდი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას, სასწავლო რესურსების კატალოგი და წიგნადი ფონდი არ არის დამუშავებული საბიბლოთეკო წარმოების წესის შესაბამისად. ასევე სახელმძღვანელოებს არ აქვს დარტყმული ბეჭედი პირველ/მესამე და მეჩვიდმეტე გვერდზე, როგორც ეს გაწერილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის დებულებაში.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023-31.03.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს მატერიალური რესურსების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, კერძოდ, სასწავლო რესურსების კატალოგისა და წიგნადი ფონდის საბიბლოთეკო წარმოების წესის შესაბამისად დამუშავება.

3. სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის საჭირო პირობები. რესურს ოთახი აღჭურვილია ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. სკოლს ამ ეტაპზე არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, თუმცა სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე, აქვს პანდუსი და ლიფტი, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის ყველა რესურსით სარგებლობას (ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო). **შესაბამისად, 3.5.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ღონისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სააქტო დარბაზს. აღნიშნული ასევე დასტურდება სკოლაში განხორციელებული ღონისძიება „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე". შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ ეზოში დაისვენონ. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, შემოქმედებითი და სოციალური კომუნიკაციის უნარების განვითარებას. საგაკვეთილო პროცესის მიზნებისთვის სკოლაში ეწყობა ფილმების ჩვენება და გარჩევა, საქველმოქმედო აქციები. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს ხის ჩიტის ბუდეები და მორთეს სკოლის ეზოში არსებული ხეები.

   შესაბამისად, 3.5.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლა მოსწავლეებს პირველი კლასიდან გადასცემს პორტაბელურ კომპიუტერებს. საგანმანათლებლო რესურსებად სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლებიც გადაცემული აქვს მოსწავლეებისათვის, ასევე, მათი ეგზემპლარები განთავსებულია

სასკოლო ბიბლიოთეკაში. სკოლას აქვს დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებიც (მათ შორის, ელექტრონული), სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სკოლას ყველა მოსწავლეს უზრუნველყოფს სასკოლი სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. თუმცა სკოლაში არსებული წიგნადი ფონდი გასაახლებელია და სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს. **შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა განაახლოს საბიბლიოთეკო ფონდი.**

ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, შესაბამისად, 3.5.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- სკოლაში განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები (ღონისძიება ,,ვილაპარაკოთ აფხაზეთზე”) .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შედგება 19 კომპიუტერისგან, მათ შორის, სკოლას აქვს 4 პერსონალური კომპიუტერი ადმინისტრაციის სარგებლობისთვის და 15 პერსონალური კომპიუტერი კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს 3 პროექტორი. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ინდივიდუალურ სარგებლობაში გადაცემული აქვთ 3 ლეპტოპი. კომპიუტერული ტექნიკის პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. **სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის გეგმა, რათა უზრუნველყოფილი იქნას სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობა.**
დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და 3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. როგორც სკოლის დირექციასთან და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. დაწყებითი კლასების მასწავლებლების აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ სკოლის ლეპტოპებით. საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლები იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას. ასევე, მასწავლებლები სკოლის პროექტორებს აქტიურად იყენებენ ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას, აგრეთვე ფილმების ჩვენებისთვის. აღნიშნული დასტურდება გაკვეთილის

გეგმებითაც. როგორც მასწავლებელბთან გასაუბრებით დადგინდა, ისინი იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას ტექსტის მოძიებისათვის, ელექტრონული რესურსით სარგებლობისთვის. საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსაწავლეებსაც. გარდა ამისა, I-IV კლასის მსოწავლეები აღჭურვილები არიან პორტაბელური კომპიუტერებით, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცეში.

შესაბამისად, დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და 3.6.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საინვენტარო აღწერილობების აქტი;
- განხორციელებული პროექტებიდა ჩატარებული გაკვეთილები რესურსების გამოყენებით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირქციასთან და საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლის საქმისმწარმოებელს მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც საქმისმწარმოებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქმისწარმოების გამართულად

მუშაობა, აწარმოოს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვა და რეგისტრაცია, უზრუნველყოს მოსწავლეთა მობრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყოს სკოლის არქივის დაცვა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის გაცემა, მიიღოს შემოსული კორესპოდენცია, დაამუშაოს და უზრუნველყოს მისი რეგისტრაცი, უზრუნველყოს შემოსული კორესპოდენციის განხილვა და ადრესატისთვის მისი წარდგენა, უზრუნველყოს სკოლის დირექტორის ბრძანებების, შრომითი ხელშეკრულებებისა და გასაგზავნი წერილების პროექტების მომზადება და სხვა.

სკოლას ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ ჰქონდა დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, თუმცა 3.6.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა შიდა აქტით დამტკიცებული საქმისწარმეობის წესი, რომელშიც აღწერილია საქმისწარმოების პრინციპები, დოკუმენტაციის წარმოების ეტაპები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“ და 3.6.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებითა და ელექტრონული ბაზის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow.emis.ge) საშუალებით, სადაც ხდება საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დოკუმენტების რეგისტრაცია (ბრძანებების, წერილების, სამსახურეობრივი ბარათების).

   სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. eSchool.emis.ge-ს მეშვეობით ხდება სკოლის საშტატო განრიგის პროექტის მომზადება სკოლის ბუღალტრის მიერ და სამინისტროსთან შეთანხმება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

   პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge

   გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: kutaisi8@mes.gov.ge. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. დგინდება, რომ სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, **შესაბამისად, 3.6.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში

შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **შესაბამისად, 3.6.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. თუმცა ასევე დადგინდა, რომ 2022 წლის ანგარიში სკოლას წარდგენილი აქვს 2022 წლის 12 დეკემბერს. სკოლას მიეცა მითითება, რომ აღნიშნული ანგარიშები უნდა წარადგინოს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა. ასევე სკოლა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. სკოლის დირექციასთან გასაიბრებით დადგინდა, რომ ფლობენ ინფორმაციას ყველა იმ საქმინობის შესახებ, რომელსაც სჭირდება მაკონტროლებელი ორგანოების თანხმობა (იჯარა, სარგებლობაში გადაცემა და სხვა). აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თანხმობის წერილებითა და საარჩევნო კომისიისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის თანხმობის წერილებით. **შესაბამიად, 3.6.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 12 დეკემბრის ოქმი ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე;
- სკოლის პროფილი eSchool.emis.ge-ს, Eflow.emis.ge-სა და procurement.gov.ge-ს სისტემაში. სკოლის ელექტრონული ფოსტა kutaisi8@mes.gov.ge.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული ვებ-გევრდი დამუშავების პროცესშია და მას საკომუნიკაციო არხის ფუნქციით აქტიურად გამოიყენებს ახალი სასწავლო წლიდან. სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია სასკოლო აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ვინაიდან სკოლას ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით, შესაბამისად, 3.6.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაია, რომელიც განთავსდება სოციალურ ქსელში, ასევე ვრცელდება დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო და ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **შესაბამისად, 3.6.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის საკომუნიკაციო არხებს ამ ეტაპზე წარმოადგენს სოციალური ქსელი (facebook), სხვადსხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, სადაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის საკომუნიკაციო არხებიდან შემოსულ ინფორმაცია თავს იყრის დირექტორთან, მუშავდება და ხდება შემდგომი რეაგირება. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უკვე გააქტიურებულია სკოლის ვებ-გვერდი, რომელსაც ასევე აქტიურ საკომუნიკაციო არხად გამოიყენებს მომავალში. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.6.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი, რომელზეც სკოლის ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას და მიმდინარეობს ინფორმაციის შევსება სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლისა და დირექციის მიერ. **შესაბამისად, 3.6.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3(5) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 20.09.2023 – 30.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ურუნველყოს სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებულ სკოლის ვებ-გვერდზე ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი ინდიკატორით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება სკოლის შესახებ.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ სკოლების პორტალზე ჩაშენებული სკოლის ვებ-გვერდი **skolebi.emis.ge/schools/752.**
- სკოლის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100009127765658.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი. სკოლის ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან და მცირე ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ და საოფისე ხარჯზე, თუმცა სკოლას არ ჰყოფნის დაფინანსება ყველა საჭირო ხარჯის დასაფარად, მაგრამ მოთხოვნის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოეყოფა დამატებითი მიზნობრივი დაფინანსება. **დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.7.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ბიუჯეტის, სამეურვეო საბჭოს ოქმებისა და შესყიდვების წლიური გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ დეკემბრის ბოლომდე, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმები საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე ვაჩერისა და სხვადასხვა მიზნობრივი დაფინანსების ჩარიცხვის შემთხვევაში. სკოლას განემარტა, რომ სკოლის ყოველი შემოსავალი და ხარჯი უნდა აისახოს სკოლის ბიუჯეტში და უნდა დაზუსტდეს ფაქტობრივი ჩარიცხვების მიხედვით.

სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით ყოველწლიურად სკოლა ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენის ეტაპზე აქტიურად არიან ჩართულები სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი.
სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დირექტორის მიერ გამოცემული შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილების შიდა ბრძანებები (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები).

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 12 დეკემბრის ოქმით დგინდება, რომ სამეურვეო საბჭოს წინაშე ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიში განხორციელებულია დაგვიანებით, 12 დეკემბერს. სამეურვეო საბჭოზე განხორციელებული ანაგირიშის თანახმად, ბიუჯეტიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია.

სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა შესყიდვების განხორციელების შიდა წესი, რომლის შესაბამისადაც უნდა განახორციელოს წლიური შესყიდვები. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა დირექტორის მიერ გამოცემული შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილების შიდა ბრძანებები (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები).

თუმცა, შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შიდა წესი, რომელშიც აღწერილია შესყიდვების განხორციელებამდე დაგეგმილი ეტაპები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.7.1(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.09.2023-30.08.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის ყოველი ცვლილება განახორციელოს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, წლიური გეგმის ყოველი ცვლილება განახორციელოს დირექტორის მიერ გამოცემული შიდა ბრძანებების (ინდივიდუალური ადმინისტარციულ-სამართლებივი აქტები) საფუძველზე და სამეურვეო საბჭოს წინაშე ფინანსური საქმიანობის ანგარიშის წარადგენა სკოლის დირექტორმა უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (10 დეკემბრამდე).

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების წლიური გეგმა;
- შესყიდვების განხორციელების წესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის ანგარიშზე;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შიდა წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი და ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. სკოლა ახდენს მოსწავლეებისა და მშობლების პერსონალური მონაცემების დაცვას. მშობელს შეუძლია წინასწარ შეთანხმებით შეხვდეს კლასის დამრიგებლებს და გაეცნოს სასურველ ინფორმაციას ინდივიდუალურად ორგანიზებულ შეხვედრაზე, ასევე მშობელთა კრებებზე. აღნიშნული რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითაც. სკოლას ჰყავს დარაჯი, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მანდატური, შემუშავებული აქვს სართულებზე მორიგეობის განრიგი. სკოლას დამტკიცებულია აქვს ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები'', ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას ახორციელებენ შესაბამისი სქესის მანდატურები მეტალოდეტექტორების მეშვეობით. **შესაბამისად, 4.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია დერეფანში და მასში ცვლილება ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში თვალსაჩინოდაა გამოკრული მორიგეობის განრიგი და სკოლის შიდა რეგულაციები. ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების'' თანახმად, სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებული არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა ყველა მოსწავლისათვის. **შესაბამისად, 4.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, აგრეთვე სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის N103/ნ ბრძანებით დადგენილი წესით. **შესაბამისად, 4.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცისა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტარციის წევრებმა გასაუბრების დროს განმარტეს, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე ახორციელებს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად. საფეხურის დაძლევა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დამრიგებლების მიერ გაეცნობა მოსწავლეებსა და მშობლებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების ბრძანებებში მითითებული იყო ძალადაკრგული ნორმატიული აქტი, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმებით, მათ შორის გაასწორა იმ ბრძანებების სამართლებრივი საფუძვლები, რომლებშიც შეცდომა იყო დაშვებული.

   სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს და ერთიან წესად აქციოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებს. შესაბამისად, 4.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანებებითა და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 4 ეტაპად. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირი სხვადასხვა კლასში შეიძლება ჩაირიცხოს დირექტორის ბრძანებით, მშობლის განცხადების საფუძველზე, წინმსწრებ კლასში განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე (მაგ: უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, ექსტერნით წინა კლასების დაძლევა). მობილობისა და სტატუსის შეჩერებაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მექანიზმების შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. თუმცა, მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პირად საქმეებში ჩანაწერები არ არის შეტანილი სრულყოფილად, კერძოდ, დაწყებით საფეხურზე არ არის შეტანილი განმავითარებელი შეფასებები საგნების მიხედით, ასევე არ არის შეტანილი ინფორმაცია მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩრების შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.2(2) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 4.09.2023-31.03.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დაცვა, კერძოდ, მოსწავლეების პირად საქმეებში დაწყებითი კლასების წლიური განმავითარებელი შეფასებების ასახვა საგნების მიხედით, მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩრების შესახებ ინფორმაციის შეტანა.

3. დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. სკოლას ინფორმაციის გასავრცელებლად აქტიურად იყენებს დახურულ ჯგუფებს სოციალურ ქსელში. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, მაგალითად მეორე უცხოური ენის არჩევის დროს. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწორედ მოსწავლეების და მშობლების სურვილის გათვალისწინებით შეიქმნა ბადმინტონის წრე. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სკოლის ახალ ვებ-გვერდზეც. **შესაბამისად, 4.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია დირექცია. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით. **შესაბამისად, 4.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის დაძლევის ამსახველი ბრძანებები;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს და მოსწავლეებს, აწყობს საზეიმო მიღებას. ადაპტაციის გაადვილების მიზნით სკოლაში იგეგმება ღონისძიებები, ექსკურსიები. სკოლას 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი აქვს ინკლუზიური განათლების მიღების პროცედურა და სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებები. სკოლას არ აქვს დოკუმენტი (სასკოლო სასწავლო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამაში, მოსწავლის ჩარიცხვის წესი და სხვა), რომელშიც გაწერილი ექნება თუ როგორ ადგენს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პრობლემას, შესაბამისად, არ არის თვალსაჩინო თუ რა რეაგირებას მოახდენს ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, როგორ განახორციელებს ადაპტაციის პროცესს მობილობით ჩარიცხულ მოსწავლეებთან და სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით, ვინ იქნება ჩართული აღნიშნულ პროცესში და სხვა. **სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი გაწეროს დეტალურად მოსწავლის ადაპტაციის პრობლემის პრევენციის ან/და დროული რეაგირების მიზნით.**
სკოლის დირექციასთან და დამრიგებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ 4.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. როგორც სკოლის დამრიგებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, კლასების დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან ისეთი გარემო, რაც ხელს შეუწყობს მათ დამეგობრებას და რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლის ადაპტაციის პროცესზე. სკოლას ერიცხება 2 სსსმ მოსწავლე და აქვს ადაპტირებული გარემო. **შესაბამისად, 4.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ მოსწავლე სარგებლობს უფლებით სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუ თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციების მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია, რომ დირექტორის მოადგილის ვალდებულებაა გააკონტროლოს სწავლაში პრობლემების მქონე მოსწავლეები (დაორგანიზოს მათთვის დამატებითი მეცადინეობების ჩატარება), თუმცა ვიზიტის ეტაპზე დირექტორის მოადგილის შტატი ვაკანტური იყო. **ადმინისტრაციასთან და მასწავლელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად და 4.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ შესახებ. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების

ჩატარებაში. საჭიროების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სივრცეებს სასკოლო ღონისძიებების მოსაწყობად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შინ სწავლების მომსახურებას, შესაბამისი წინაპირობისა და პროცედურის დაცვით. **შესაბამისად, 4.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებს, როგორიცაა ექსკურსიები, გასვლითი გაკვეთილები, საქველმოქმედო აქციები, ვიზიტები სხვადასხვა დაწესებულებაში, გამწვანების აქციები, შეჯიბრებები და სხვა. სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად უწყობს ხელს მსგავსი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რასაც ადასტურებს სკოლაში განხორციელებული მუშაობა. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. აღნიშნული დასტურდება სკოლის სოციალური გვერდის დათვალიერებით, სადაც მრავლადაა წარმოდგენილი სკოლაში ჩატარებული აქტივობები, როგროიცაა: პროექტი ,,ატომი'', აქტივობა ,,ლენდ-არტი'', პროექტი ,,ცნობილი ქართველი მათემატიკოსები'', მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით გამართული ღონისძიება და სხვა. **შესაბამისად, 4.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების გასარკვევად დამრიგებლები ესაუბრებიან მოსწავლეებს და მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწაველეთა ინტერების გათვალისწინებით და მათი/მშობლების უკუკავშირის საფუძველზე განახლდა ბადმინტონის წრის ფუნქცინირება. დგინდება, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში და **შესაბამისად, 4.2.1(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სოციალური ქსელის დათვალიერება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც საბაზო-საშუალო საფეხურის კლასების დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, სკოლა მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების და უნარების განვითარებაში. დამრიგებლები აქტუალური თემის ფარგლებში მოსწავლეებს უტარებენ საუბრებს მომავალ პროფესიებთან დაკავშირებით. სკოლა გეგმავს პროფესიული ორიენტაციის პროგრამა ასახოს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმასა და სადამრიგებლო პროგრამებში. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის მიზანია მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით კურსის ,,პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების დამზადება'' დანერგვა და განხორციელება. კურსი გათვლილია მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისათვის და აყალიბებს პროფესიულ უნარებს ფარმაცევტის თანაშემწის, ფარმაცევტ-ტექნიკოსის, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამამზადებლის პროფესიული პროგრამების შესაბამისად. **ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით 4.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, მე-8-მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. ამ მიზნით დამრიგებელები ესაუბრება მოსწავლეებს, იღებენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის რა პროფესიული განათლების მიღება ან სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელება სურს. დამრიგებელები უზრუნველყოფენ აღნიშნული ინფორმაციის დირექციისათვის მიწოდებას, რომლის საფუძველზეც დირექცია უზრუნველყოფს უნივრსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზებას, ადგილზე ვიზიტსა და გარემოს დათვალიერებას. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის ,,ჩვენი ჯარი"-ს ფარგლებში სკოლაში გაიმართა შეხვედრა სამხედრო მოსამსახურეებთან. ჯარისკაცებმა მოსწავლეებს სალექციო ფორმატში პრეზენტაციების სახით თავდაცვის ძალებში მოხვედრისა და სამხედრო

განათლების მიღების შესაძლებლობები, ნატო - საქართველოს ურთიერთობები გააცნეს და საერთაშორისო სწავლებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ ინფორმაია მიაწოდეს. **შესაბამისად, 4.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს ჩაატაროს გამოკითხვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც დაგეგმავს პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს, ასევე შედეგების გათვალისწინებით განახორციელებს სერვისის გაუმჯობესებასა და დახვეწას. შესაბამისად, **4.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუები სკოლის დირექციასთან და საბაზო-საშუალო საფეხურს დამრიგებლებთან;
- მემორნადუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ეტაპზე ეროცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე. სკოლა ფლობს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების სერვისებთან დაკავშირებით და სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილი აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის ინფრასტრუქტურა სრულიად ადაპტირებულია და მორგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე, ასევე სკოლას გააჩნია სათანადო სასწავლო რესურსებით აღჭურვილი რესურს-ოთახი. სკოლას განემარტა, რომ სსსმ მოსწავლეებისთვის, რომელთა სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამტკიცება უნდა განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში (წარმოდგენილ პედაგოგიურ საბჭოს ოქმში აღნიშნული ფიქსირდებოდა 3 კვირის ვადაში). ასევე, სკოლას არ ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შემუშავებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმების შესაბამისად, არამედ გამოყენებული იყო ძველი რეგულაციებით არსებული ფორმები. როგორც სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით დადგინდა, მან უკვე გაიარა ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგები, ფლობს ინფორმაციას ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ფორმების შესახებ და მომავალი სასწავლო წლიდან საგნების მასწავლებლებთან ერთად ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება მოხდება მოქმედი რეგულაციების შესავამისად. სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა რესურს-ოთახის დათვალიერებისას წარმოადგინა სსსმ მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები და აქტივობები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უნარების განვითარებას. **შესაბამისად, 4.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ისგ ჯგუფები, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულის სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ისგ ჯგუფის კოორდინატორის მიერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე წლის ბოლოს წარმოდგენილ იქნა ანგარიში. **შესაბამისად, 4.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმა.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***

(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს ბადმინტონისა და ქართული ცეკვის წრეებს. აღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს ააიპ ,,ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება'', რომელსაც ფართი გადაეცა იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით. მომსახურება ხორციელდება უფასოდ. სკოლა ფლობს ინფორმაციას იჯარის ფორმით ფართის სარგებლობის უფლებით გაცემისთვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე და იცავს მას, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი თანხმობის წერილები და აუქციონის შედეგები. **შესაბამისად, 4.2.4(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ იჯარის ფორმით შეთავაზებული დამატებითი მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს. **შესაბამისად, 4.2.4(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მოსწავლეებისათვის დამატებით მომსახურეობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით, უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. იჯარის ხელშეკრულება ითვალისწინებს უსაფრთხოების ნორმების დაცის ვალდებულებას, რაც კონტროლდება სკოლის დირექციის მხრიდან. **შესაბამისად, 4.2.4(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- სკოლის მიერ განხორციელებული იჯარის ფორმით ფართის გაცემის პროცედურა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დირექცია, კათედრები, მშობლები. შემუშავების პროცესში პედაგოგები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. გათვალისწინებულია მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, მშობლის ბარათი, სოციალური ქსელი) მეთოდით. დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებს, ვალდებულებებს, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სასწავლო წლის პროგრამებს და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. გამოყოფილია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი და კურიკულუმის განხორციელების ეტაპები. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან, კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, გამოკვეთილია საზოგადოების პრიორიტეტები. საგნობრივ კურიკულუმებში ხაზგასმითაა ნაჩვენები ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი (გამოკითხვა, დამრიგებლის როლი, თემის ინტერესები, დირექციის აქტიურობა და ა.შ.). მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე, მაგრამ იკვეთება მშობლების ჩართულობაც. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. ასევე, თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სასკოლო გეგმის კალენდარი, რომელშიც გაწერს

შესასრულებელ ღონისძიებებს, რაც მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელს გაზრდის. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრებზე და მასში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელი პედაგოგები ინაწილებენ სამუშაოს, ადგენენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს თითოეული კლასისათვის, ერთმანეთთან ათანხმებენ განსახორციელებელ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს და სხვ. აწვდიან ინფორმაციას დირექციას. სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს. კურიკულუმის შემუშავებაში ნაკლებად არიან ჩართულნი მოსწავლეები და მშობლები, თუმცა, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები. მომავალში სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა და მშობელთა აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. 1-6 კლასებში უკვე იგეგმება სოციალური პროექტების განხორციელება, სადაც გათვალისწინებული იქნება მშობლის და მოსწავლის ინტერესები. განხორციელებული პროექტების შემდეგ მშობელი შეავსებს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც იქნება წინასწარ შემუშავებული ცხრილის სახით. **შესაბამისად, 2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს იმის გამოცდილება, რომ კურიკულუმი გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ დამრიგებლები და პედაგოგებიც აცნობენ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. მშობლის ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. ადმინისტრაციის როლი ჩანს კურიკულუმის განვითარების და გაზიარების პროცესებში. სკოლა ერთიანია გუნდია, რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარებას და მის პიროვნულ ზრდას. შემუშავებულია მოსწავლეთა დაჯილდოების ფორმები. ხდება მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გაზიარება ხდება კათედრებზე, მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფაზე. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმი კიდევ უფრო ფართოდ იქნას გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ და **შესაბამისად, 2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, აღნიშნული ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში

გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებების ანალიზური რუბრიკები, რომლებიც ეხმარება პედაგოგს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში.

დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ **ესთეტიკური აღზრდის კათედრა** ხელმძღვანელობდა გასული წლების კურიკულუმის ჩარჩოთი და ავტორიზაციისათვის მოსამზადებელ შეხვედრებზე შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოს ახალი ვერსია, შექმნეს დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ ჩანს დაწყებით საფეხურზე დასამუშავებელი თემები, საკითხები, ცნება/ქვეცნებები, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და სასწავლო რესურსები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: მუსიკის და ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დასაზუსტებელია სასწავლო რესურსი, რომელსაც პედაგოგები გაწერენ სექტემბრისთვის, გრიფირების შედეგად არჩეულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ხელოვნების საგნის კურიკულუმებში დასაზუსტებელია თემატური ბლოკები, ხშირ შემთხვევაში საბაზო საფეხურის თემატური ბლოკებია მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი კლასის კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული, წარმოდგენილი მუსიკის საგნის კურიკულუმებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს საკმარისი ცოდნა და მზაობა იმისთვის რომ ხელოვნების საგნის კურიკულუმები ჩასწორდეს. **შესაბამისად, კათედრას მიეცა რჩევა განახორციელოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმეების ჩასწორება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კათედრას მიეცა რჩევა განახორციელოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ჩასწორება. შესაბამისად, 2.1.2(1)ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებულად იციან წარმოდგენილი კურიკულუმების არასრულყოფილება, რომელიც ახსნეს კურიკულუმების მომზადებისთვის გამოყოფილი არასაკმარისი დროის ფაქტორით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ასევე ისაუბრეს, რომ კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს არსებული უზუსტობების გასწორებასა და კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია სასწავლო პროგრამა, რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელი შეიმუშავებს დავალების ისეთ პირობას, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება შესაქმნელ პროდუქტთან დაკავშირებით. ისინი სასურველი ფორმით (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სცენარი, დიალოგი, ბროშურა, ბუკლეტი, აუდიოწიგნი, მეგობრული წერილი. და ა.შ.) წარმოადგენენ დავალების პროდუქტს.

სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. მასწავლებლებმა ინდივიდუალურ გეგმებში მოახდინეს დავალებების მოდიფიცირება. მომავლისათვის დაიგეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნან ისეთი გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მაქსიმალურად განივითაროს საკუთარი პოტენციალი. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, კერძოდ, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში ხდება USAID საბაზისო პროგრამის ფარგლებში გაკვეთილების ჩატარება დიფერენცირებული მიდგომებით. იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში, სადაც მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით ხდება შექმნილი რესურსების გამოყენება და ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელებენ მუშაობას. კურიუკულუმში ასახულია სსსმ მოსწავლეების ინტერესებიც. 2022-2023 ს/წელს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო

გეგმით. სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას და **შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შეფასება იწარმოება მკაფიოდ, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით V-VI კლასებში. წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის, რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოში და დაგეგემილია მომდევნო სასწავლო წლისთვის. განმავითარებელი შეფასება წარმოდგენილია I-VI კლასებში. მოსწავლეების მიერ განსახორციელებელ დავალებებს დართული ჰქონდა ის შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებიდან და მიმართული იყო გრძელვადიან მიზნებზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებს - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა. აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. მასწავლებლები, რეფლექსიის მიხედვით ჩამოაყალიბებენ თვითგანვითარების გეგმას და გასაუმჯობესელ მიმართულებებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა წახალისებებს დიდი ყურადღება ენიჭება. მასწავლებელები წახალისების მრავალფეროვან ფორმას იყენებენ: სერტიფიკატები, დიპლომები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში დიაგნოსტირება ჩატარდება ორჯერ. მონაცემთა დამუშავება მოხდება კათედრებზე და შედეგებს გაეცნობა სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ზოგჯერ ზეპირად, ზოგჯერ კი წერითი დავალებების ანალიზის მიმოხილვით. **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებით საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ გუნდური მუშაობით წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

   მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ

მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ პედაგოგებმა გაანალიზეს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი, გამოკვეთეს ძლიერ და სუსტი მხარეები, იყენებენ მიღებულ გამოცდილებას და აგრძელებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. **შესაბამისად, 2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ, ასევე სკოლის ფეისბუქგვერდი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობა. ამ მიმართულებით სკოლას მრავალი პროექტი აქვს განხორციელებული, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კუთხით. ჩატარებული ინტელექტუალური თამაშები, საგნობრივი კვირეულები, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები. არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წინსვლასა და ინდივიდუალური ინტერესების წარმოჩენაში. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული და თვითონ იქნება ამ პროცესის შემოქმედი. **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის პედაგოგებს გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და ხელს უწყობს მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს თითოეულ სავალდებულო თემაში ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, რესურსები, აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, თვითშეფასება და სხვა იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს დაწყებით საფეხურზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. კურიკულუმებსა და მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ**ის კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის ბუნებისმეტყველებაში ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის გამოყენება და ურთიერთდაკავშირება. **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები, კათედრის სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამასთან, მასწავლებლებმა გასაუბრებისას წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალებები, ნარატივის სახით და რეფლექსია მათზე.
   სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი **ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს,** კერძოდ:
   ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
   <u>I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება)</u> მეორე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სახელმძღვანელო, როგორც სასწავლო რესურსი, სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია ორგანიზმი და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო).
   <u>II თემის (მზის სისტემა)</u>
   პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია ორგანიზმის საარსებო გარემო და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო).
   ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (დედამიწა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან არ არის მითითებული შესაბამისი ქვეცნება, პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესური - „საინფორმაციო ტექსტი“ ელექტრონული მისამართის გარეშე.
მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორისა და გვერდის გარეშე, სასწავლო რესური - „საინფრომაციო ტექსტი“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე. ამავდროულად გაუგებარია, რა იგულისხმა პედაგოგმა მითითებულ კომპლექსური დავალების იდეაში.
მესამე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან არ არის მითითებული შესაბამისი ქვეცნება, მესამე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსები
II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) პირველ, მეორე, მესამე და მეხუთე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან არ არის მითითებული შესაბამისი ქვეცნება, ასევე არ არის მითითებული სასწავლო რესურსები.

ბუნებისმეტყველების V კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (კოსმოსი) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე, ასევე სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად (წერია მოვლენა და პროცესი და უნდა ეწეროს - მოვლენა, პროცესი).
II თემის (ეკოსისტემა) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე.
III თემის (მოვლენები ჩვენს გარშემო), პირველ და მეორე ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე.
ბუნებისმეტყველების VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:
I თემის (ენერგია და მისი გარდაქმნა) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე, სასწავლო რესური - „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე.
II თემის (ნარევები და მათი დაყოფის ხერხები) პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე.
III თემის (ადამიანის სხეული და ჯანმრთელობა), პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან არ არის მითითებული შესაბამისი ქვეცნება, პირველ ძირითად საკითხთან მითითებულია სასწავლო რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - ავტორის გარეშე.
რაც შეეხება სკოლის მიერ წარმოადგენილ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I და II კლასების კურიკულუმის ჩარჩოებს, ისინი გაწერილია არასრულყოფილად. ვინაიდან აღნიშნულ კლასებში არ არის სახელმძღვანელო, გრიფირებული სახელმძღვანელო პედაგოგებს ექნებათ 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე და მას აუცილებლად გახდიან სრულყოფილს.

მოწოდებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში (I – IV კლასები) განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის ძირითადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა. რაც შეეხება V – VI კლასებს, მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში არ არის განსაზღვრული ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, და შეაბამისად, არ არის ნათელი, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს V – VI კლასებში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2(1) ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 22.08.2023 – 30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოების გასწორება, გამოვლენილი შეუსაბამობის გათვალისწინებით, კერძოდ: ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები) გაწეროს გრძევლადინი მიზნების შესაბამისად, (სამიზნე ცნებები უნდა ეწეროს სწორად, სამიზნე ცნებებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნებები, სასწავლო თემაში გამოყოფილ თითოელ კლასტერს - შესაბამისი სასწავლო რესურსი, სასწავლო რესურსებში მოცემულ გრიფირებულ სახელმძღვანელოს - მითითებული ავტორი და გვერდი, სასწავლო რესურსებში მოცემულ „საინფორმაციო ტექსტს“ და „ტელესკოლის გაკვეთილებს“ - შესაბამისი ელექტრონული მისამართები). კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეა უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, ამავდროულად, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული უნდა იყოსძირითადადი კონტექსტ - მაგალითი და კომპლექსური დავალების იდეა, რომლის მიხედვითაც ნათელი იქნება, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით განხორციელდება სასწავლო პროცესი 2023 – 2024 სასწავლო წელს.

2. პედაგოგებთან ინტერვიუს და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე სწავლებისას სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს (I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში) განმავითარებელ შეფასებას, რაც როგორც ცოდნისა და უნარების, ასევე

საკუთარი სასწავლო მეთოდების შეფასების საშუალებას აძლევთ. მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან კონსტრუქციულ ზეპირსიტყვიერ უკუკავშირს, წამახალისებელ მითითებებს ან წერილობით უკუკავშირს და სიმბოლურ ნიშნებს. ხოლო V კლასში II სემესტრში და VI კლასში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. დაწყებით კლასებში სისტემატურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებებსა და ურთიერთშეფასებას, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების მექანიზმად კი სოლო-ტაქსონომიას, რომელიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გააზრების ხარისხს, ასევე ითვალისწინებენ რა გარემოში ცხოვრობს მოსწავლე, მის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. სამომავლოდ კათედრები დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. **შესაბამისად, 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კათედრებზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის, რომელთა გაცნობა ხდება მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი წლის განმავლობაშიც. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სიტყვიერი კომენტარები მიმართულია წახალისება-დაზუსტება-რჩევის მიცემისკენ. შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ხშირად რთავენ მოსწავლეებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. მომავალში შეფასების სანდოობისა და სამართლიანობის გაზრდის მიზნით აპირებენ მათ გაზიარებას მშობლებთან. რუბრიკების შექმნის პროცესში გაზრდიან მოსწავლეთა ჩართვის ხარისხსაც. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრის წევრი პედაგოგების მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. თუმცა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სოლო ტაქსონომიის ინსტრუმენტის დახმარებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მწირი გამოცდილება აქვთ და კლასში განმავითარებელი შეფასება ხორციელდება ზეპირი უკუკავშირის საშუალებით. სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კათედრებზე არსებობს იმის დადგენის პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნების მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე (მაგალითად, დგება შედეგების რეიტინგი საგნებისა და

კლასების მიხედვით) და ახორციელებს რეფლექსიას. თუმცა სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადონ, შეიმუშაონ შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემთ დაწყებითი საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები;
- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- თვითშეფასების ანგარიშები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. კათედრების პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, გამოცდილების გაზიარება და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. რაც მიიღწევა ღიაობით, მიმღებლობითა და წახალისებით, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მრავალფეროვანი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროცესში, იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლეები სახვადასხვა ტემპითა და სტილით სწავლობენ, ამიტომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სისტემატიურად ხდება დაკვირვება მოსწავლეთა მიღწევების, რომელთა ანალიზის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი, სადაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეების ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. ხდება დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის, ერთმანეთზე ზრუნვის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბება. სასაწვლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწვლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. თანამშრომლობითი კულტურა სკოლის ძლიერი მხარეა. კათედრებს შორის მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა. კათედრების სხდომის ოქმებიდან, სამუშაო შეხვეედრების ოქმებიდან და ინტერვიუდან ჩანს, რომ კათედრების წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ატარებენ მასაწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, განიხილავენ რესურსებსა და აქტივობებს. სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, დირექცია) ინტენსიურად არიან ჩართულები სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. **შესაბამისად, 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებიც: თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება, ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. **შესაბამისად, 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები;
- საგნობრივი ჯგუფის კათედრების შეხვედრის ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ-გვერდი;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დაწყებითი კლასის მასწავლებლები. ინტენსიურად თანამშრომლობენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება ,,კურიკულუმის

მხარდამჭერი ჯგუფი“ რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. **შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში ჩატარებულ გაკვეთილებს. USAID-ის პროგრამის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლების მხრიდან დაწყებით საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დასწრება, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ხდება არსებული ხარვეზების გამოვლენა და სამომავლო გეგმების დასახვა. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერთბლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს. დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების

საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება ანალიზი, რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ისახება პრობლემების გადასაჭრელ გზებს. მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად იგეგმაბე კვლევითი კითხვარის შექმნა, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- თვითშეფასების ფორმა.
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება უმეტესწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც სასწავლო პროცესის ერთგვარი უკუკავშირია. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ხარვეზები. დაწყებითის კათედრაზე სასწავლო წლის დასაწყისში შევიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. იმ საგნებში, სადაც ამჟამად შეფასება სრულად ვერ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, არსებობს მზაობა იმისა, რომ მოხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა. იგეგმება, შეფასების ფორმას მისცენ სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს უშლის ან უწყობს ამ პროცესს გავთვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. მაგალითად, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; ფასდება არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული სააზროვნო უნარები. სამომავლოდაც, სკოლა გამოხატავს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და მზად არიან შეიმუშაონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები. თუმცა, შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება, ამგვარი ერთობლიობა მეტნაკლებად უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის

საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით და გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი: სოციალურ გარემო, ოჯახი, ინტერესები-ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. თუმცა, სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. სამომავლოდ იგეგმება, რომ შეფასებისას მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- საგნობრივი კათედრების სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოცემულ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა, რომლის მიზანია გადაწყვეტილებების მიღება და სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ახალ სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაიწყო და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. სამომავლოდ ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რაც ასევე დასტურდება გადმოგზავნილი სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტიდან. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი და დირექტორი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებმა გამოხატეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა

შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებიც. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დირექცია, კათედრები, მშობლები. შემუშავების პროცესში პედაგოგები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. გათვალისწინებულია მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, მშობლის ბარათი, სოციალური ქსელი) მეთოდით. დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებს, ვალდებულებებს, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სასწავლო წლის პროგრამებს და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. გამოყოფილია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი და კურიკულუმის განხორციელების ეტაპები. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან, კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, გამოკვეთილია საზოგადოების პრიორიტეტები. საგნობრივ კურიკულუმებში ხაზგასმითაა ნაჩვენები ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი (გამოკითხვა, დამრიგებლის როლი, თემის ინტერესები, დირექციის აქტიურობა და ა.შ.). მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე, მაგრამ იკვეთება მშობლების ჩართულობაც. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. ასევე, თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სასკოლო გეგმის კალენდარი, რომელშიც გაწერს შესასრულებელ ღონისძიებებს, რაც მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელს გაზრდის. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრებზე და მასში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელი

პედაგოგები ინაწილებენ სამუშაოს, ადგენენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს თითოეული კლასისათვის, ერთმანეთთან ათანხმებენ განსახორციელებელ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს და სხვ. აწვდიან ინფორმაციას დირექციას. სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს. კურიკულუმის შემუშავებაში ნაკლებად არიან ჩართულნი მოსწავლეები და მშობლები, თუმცა, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები. მომავალში სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა და მშობელთა აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. I-VI კლასებში უკვე იგეგმება სოციალური პროექტების განხორციელება, სადაც გათვალისწინებული იქნება მშობლის და მოსწავლის ინტერესები. განხორციელებული პროექტების შემდეგ მშობელი შეავსებს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც იქნება წინასწარ შემუშავებული ცხრილის სახით. **შესაბამისად, 2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს იმის გამოცდილება, რომ კურიკულუმი გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ დამრიგებლები და პედაგოგებიც აცნობენ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. მშობლის ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. ადმინისტრაციის როლი ჩანს კურიკულუმის განვითარების და გაზიარების პროცესებში. სკოლა ერთიანია გუნდია, რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარებას და მის პიროვნულ ზრდას. შემუშავებულია მოსწავლეთა დაჯილდოების ფორმები. ხდება მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. საბაზო საფეხურის კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გაზიარება ხდება კათედრებზე, მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფაზე. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმი კიდევ უფრო ფართოდ იქნას გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ და **შესაბამისად, 2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, აღნიშნული ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას

საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებების ანალიზური რუბრიკები, რომლებიც ეხმარება პედაგოგს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, აღნიშნული ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებების ანალიზური რუბრიკები, რომლებიც ეხმარება პედაგოგს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. **ესთეტიკური აღზრდის კათედრა** ხელმძღვანელობდა გასული წლების კურიკულუმის ჩარჩოთი და ავტორიზაციისთვის მოსამზადებელ შეხვედრებზე შეიმუშავეს კურიკულუმის ჩარჩოს ახალი ვერსია, შექმნეს დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ ჩანს საბაზო საფეხურზე დასამუშავებელი თემები, საკითხები, ცნება/ქვეცნებები, განსახორციელებელი კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და სასწავლო რესურსები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მიეცათ რჩევები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: მუსიკის და ხელოვნების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დასაზუსტებელია სასწავლო რესურსი, რომელსაც პედაგოგები გაწერენ სექტემბრისთვის, გრიფირების შედეგად არჩეულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ხელოვნების საგნის კურიკულუმებში დასაზუსტებელია თემატური ბლოკები. მიუხედავად იმისა, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთი კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული, წარმოდგენილი მუსიკის საგნის კურიკულუმებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას აქვს საკმარისი ცოდნა და მზაობა იმისთვის რომ ხელოვნების საგნის კურიკულუმები ჩასწორდეს. **აღნიშნულის გათვალისწინებით, კათედრას მიეცა რჩევა განახორციელოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ჩასწორება. შესაბამისად, 2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი** კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულია ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი. მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია სასწავლო პროგრამა, რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელი შეიმუშავებს დავალების ისეთ პირობას, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება შესაქმნელ პროდუქტთან დაკავშირებით. ისინი სასურველი ფორმით (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი, მოხსენება, პრეზენტაცია, კომიქსი, სცენარი, დიალოგი, ბროშურა, ბუკლეტი, აუდიოწიგნი,

მეგობრული წერილი. და ა.შ.) წარმოადგენენ დავალების პროდუქტს. მასწავლებლებმა სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ინდივიდუალურ გეგმებში მოახდინეს დავალებების მოდიფიცირება. მომავლისათვის დაიგეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნან ისეთი გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მაქსიმალურად განივითაროს საკუთარი პოტენციალი. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში ხდება USAID საბაზისო პროგრამის ფარგლებში გაკვეთილების ჩატარება დიფერენცირებული მიდგომებით. იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში, სადაც მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით ხდება შექმნილი რესურსების გამოყენება. ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელებენ მუშაობას. კურიუკულუმში ასახულია სსსმ მოსწავლეების ინტერესებიც. 2022-2023 ს/წელს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე, რომლებიც სარგებლობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას და შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შეფასება იწარმოება მკაფიოდ, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის, რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოში და დაგეგემილია მომდევნო სასწავლო წლისთვის. მოსწავლეების მიერ განსახორციელებელ დავალებებს დართული ჰქონდა ის შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებიდან და მიმართული იყო გრძელვადიან მიზნებზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებს - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა. აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. მასწავლებლები, რეფლექსიის მიხედვით ჩამოაყალიბებენ თვითგანვითარების გეგმას და გასაუმჯობესელ მიმართულებებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა წახალისებებს დიდი ყურადღება ენიჭება. მასწავლებელები წახალისების მრავალფეროვან ფორმას იყენებენ: სერტიფიკატები, დიპლომები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში დიაგნოსტირება ჩატარდება ორჯერ. მონაცემთა დამუშავება მოხდება კათედრებზე და შედეგებს გაეცნობა სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები

ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ზოგჯერ ზეპირად, ზოგჯერ კი წერითი დავალებების ანალიზის მიმოხილვით. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა წარმატებების უზრუნველსაყოფად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. სოლო ტაქსონომია, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური შეფასება. რომლის მიზანიც იქნება სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ გუნდური მუშაობით წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ პედაგოგებმა გაანალიზეს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი, გამოკვეთეს ძლიერ და სუსტი მხარეები, იყენებენ მიღებულ გამოცდილებას და აგრძელებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. **შესაბამისად, 2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საბაზო საფეხურის თემატური მატრიცები, კათედრის სხდომის ოქმები;

- სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმა 2022 -2023 სასწავლო წელი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ, ასევე სკოლის ფეისბუქგვერდი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ

მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობა. ამ მიმართულებით სკოლას მრავალი პროექტი აქვს განხორციელებიული, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კუთხით. ჩატარებული ინტელექტუალური თამაშები, საგნობრივი კვირეულები, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის ხდება მათი ინიციატივების წახალისება, მაგალითად პროექტი,, ვილაპარაკოთ აფხაზეთზე", რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში აფხაზეთის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წინსვლასა და ინდივიდუალური ინტერესების წარმოჩენაში. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული და თვითონ იქნება შემოქმედი ამ პროცესის. **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის პედაგოგებს გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და ხელს უწყობს მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად ჩანს თითოეულ სავალდებულო თემაში ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, რესურსები, აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, თვითშეფასება და სხვა იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს საბაზო საფეხურზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.კურიკულუმებსა და მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება

ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებები. მნიშვნელოვნია თემატური დაგეგმვა. თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სასწავლო მასალასა და მოსწავლის ცოდნას შორის. კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლემ უნდა იპოვოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებას და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ააქტიურებს მის კომპეტენტურ უნარებს. სამომავლოდ იგეგმება უფრო მეტი დრო დაეთმოს პროექტულ აქტივობებსა და სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა უკეთ ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტეგრაცია სასწავლო პროცესში სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის, ფორმირების, მოვლენების და პროცესების არსებითი ურთიერთკავშირის გაგების ხელშემწყობია. იგი ეხმარება ბავშვს გააერთიანოს, დააკავშიროს ცალკეულ საგანში მიღებული ცოდნა, დაეხმაროს მას შეიქმნას ერთიანი, მთლიანი, ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებაზე და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები;
- კათედრის სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამასთან, მასწავლებლებმა გასაუბრებისას წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალებები, ნარატივის სახით და რეფლექსია მათზე. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ:

   ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

   I თემის (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია, ძალა და ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

   II თემის (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

   III თემის (ძალა და წნევა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

   ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (მექანიკური მოვლენები) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია და ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; II თემის (სითბური მოვლენები) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის მითითებული არასწორად, წერია აჩქარებული მოძრაობა და უნდა ეწეროს თანაბარი და აჩქარებლი მოძრაობა (სტანდარტის მიხედვით), თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

II თემის (სტატიკა და დინამიკა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება მატერია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

ბიოლოგიია VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

V თემის (სასიცოცხლო ციკლი) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება სტრუქტურა და ფუნქცია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

მოწოდებული საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმებიის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა.

სკოლას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სრულად გაითვალისწინოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწეროს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პედაგოგებთან ინტერვიუს და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე სწავლებისას სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, და

მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სისტემატურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებებსა და ურთიერთშეფასებას, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების მექანიზმად კი სოლო-ტაქსონომიას, რომელიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გააზრების ხარისხს, ასევე ითვალისწინებენ რა გარემოში ცხოვრობს მოსწავლე, მის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. სამომავლოდ კათედრაზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. **შესაბამისად, 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.~**

4. კათედრებზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის, რომელთა გაცნობა ხდება მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი წლის განმავლობაშიც. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სიტყვიერი კომენტარები მიმართულია წახალისება-დაზუსტება-რჩევის მიცემისკენ. შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ხშირად რთავენ მოსწავლეებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. მომავალში შეფასების სანდოობისა და სამართლიანობის გაზრდის მიზნით აპირებენ მათ გაზიარებას მშობლებთან. რუბრიკების შექმნის პროცესში გაზრდიან მოსწავლეთა ჩართვის ხარისხსაც. **შესაბამისად, 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. კათედრებზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნების მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე (მაგალითად, დგება შედეგების რეიტინგი საგნებისა და კლასების მიხედვით) და ახორციელებს რეფლექსიას. თუმცა სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადონ, შეიმუშაონ შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემთ საბაზო საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები;
- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. კათედრების პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, გამოცდილების გაზიარება და პრობლემების გადაჭრის

გზების ერთობლივად ძიება, რაც მიიღწევა ღიაობით, მიმღებლობითა და წახალისებით, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მრავალფეროვანი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროცესში, იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლეები სახვადასხვა ტემპითა და სტილით სწავლობენ, ამიტომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სისტემატიურად ხდება დაკვირვება მოსწავლეთა მიღწევების, რომელთა ანალიზის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი, სადაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეების ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. ხდება საბაზო საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის, ერთმანეთზე ზრუნვის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბება. სასაწვლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწვლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. თანამშრომლობითი კულტურა სკოლის ძლიერი მხარეა. კათედრებს შორის მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა. კათედრების სხდომის ოქმებიდან, სამუშაო შეხვეედრების ოქმებიდან და ინტერვიუდან ჩანს, რომ კათედრების წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ატარებენ მასაწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, განიხილავენ რესურსებსა და აქტივობებს. სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, დირექცია) ინტენსიურად არიან ჩართულები სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. **შესაბამისად, 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებიც: თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება, ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო

თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. **შესაბამისად, 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სკოლის ფეისბუქგვერდი;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მასწავლებლები თანამშრომლობენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება ,,კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი" რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. **შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში ჩატარებულ გაკვეთილებს. USAID-ის პროგრამის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლების მხრიდან საფეხურზე საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დასწრება, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ხდება არსებული ხარვეზების გამოვლენა და სამომავლო გეგმების დასახვა. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერთბლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს, დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე

კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას.სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება ანალიზი, რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ისახება პრობლემების გადასაჭრელ გზებს. მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად იგეგმაბე კვლევითი კითხვარის შექმნა, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- თვითშეფასების ფორმა.
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება უმეტესწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ, არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ხარვეზები. კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. იმ საგნებში, სადაც ამჟამად შეფასება სრულად ვერ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, არსებობს მზაობა იმისა, რომ მოხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა. იგეგმება, შეფასების ფორმას მისცენ სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს უშლის ან უწყობს ამ პროცესს გავთვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. მაგალითად, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები. ფასდება არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული სააზროვნო უნარები. სამომავლოდაც, სკოლა გამოხატავს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და მზად არიან შეიმუშაონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თუმცა, შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. ამგვარი ერთობლიობა მეტნაკლებად უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი: სოციალური გარემო, ოჯახი, ინტერესები-ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, თუმცა სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. სამომავლოდ იგეგმება, რომ შეფასებისას მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო, კათედრების სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოცემულ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა, რომლის მიზანია გადაწყვეტილებების მიღება და სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ახალ სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაიწყო და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. სამომავლოდ ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე ს/წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს. რაც ასევე დასტურდება გადმოგზავნილი სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტიდან. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული

მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი და დირექტორი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებმა გამოხატეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებიც. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან დირექცია, კათედრები, მშობლები. შემუშავების პროცესში პედაგოგები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. გათვალისწინებულია მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, მშობლის ბარათი, სოციალური ქსელი) მეთოდით. დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებს, ვალდებულებებს, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სასწავლო წლის პროგრამებს და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობებს. გამოყოფილია კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი და კურიკულუმის განხორციელების ეტაპები. **შესაბამისად, 2.1.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან, კათედრის სხდომის ოქმებიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები, გამოკვეთილია საზოგადოების პრიორიტეტები. საგნობრივ კურიკულუმებში ხაზგასმითაა ნაჩვენები ჩართულობის სხვადასხვა მექანიზმი (გამოკითხვა, დამრიგებლის როლი, თემის ინტერესები, დირექციის აქტიურობა და ა.შ.). მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. ძირითადი პასუხისმგებლობა გადადის საგნობრივი კათედრის წევრებსა და დირექციაზე, მაგრამ იკვეთება მშობლების ჩართულობაც. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. ასევე, თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სასკოლო გეგმის კალენდარი, რომელშიც გაწერს შესასრულებელ ღონისძიებებს, რაც მშობელთა ჩართულობის მაჩვენებელს გაზრდის. **შესაბამისად, 2.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრებზე და მასში მონაწილეობას იღებს კათედრის ყველა წევრი. შექმნის პროცესში პარალელურ კლასებში შემსვლელი პედაგოგები ინაწილებენ სამუშაოს, ადგენენ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტს თითოეული კლასისათვის, ერთმანეთთან ათანხმებენ განსახორციელებელ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს და სხვ. აწვდიან ინფორმაციას დირექციას. სკოლის დირექცია- ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს. კურიკულუმის შემუშავებაში ნაკლებად არიან ჩართულნი მოსწავლეები და მშობლები, თუმცა, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესები. მომავალში სკოლა გეგმავს, მოსწავლეთა და მშობელთა აქტიურ ჩართვას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მშობლის, მოსწავლის, მასწავლებლის უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი დოკუმენტები დასამტკიცებლად წარუდგინება პედაგოგიურ საბჭოს. **შესაბამისად, 2.1.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ კურიკულუმი გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ დამრიგებლები და პედაგოგებიც აცნობენ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებს მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რათა ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. ასევე ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ, ხდება მათი მხრიდან მოსწავლის ბარათების გაზიარება სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. სკოლა მშობლის ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სოციალური ქსელი, მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები, რომელთა საშუალებითაც ხდება არსებული სასკოლო, საგნობრივი კურიკულუმების გაზიარებულია სასკოლო თემთან. ადმინისტრაციის როლი ჩანს კურიკულუმის განვითარების და გაზიარების პროცესებში. სკოლა ერთიანია გუნდია, რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარებას და მის პიროვნულ ზრდას. შემუშავებულია მოსწავლეთა დაჯილდოვების ფორმები. ხდება მოსწავლეთა მიღწევების გაზიარება სკოლის ფეისბუქგვერდზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) საჯაროა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გაზიარება ხდება კათედრებზე, მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფაზე. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმი კიდევ უფრო ფართოდ იქნას გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დავასკვნათ,რომ კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ. **შესაბამისად, 2.1.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. აღნიშნული ჩანს კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. წარმოდგენილია მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალებების

ანალიზური რუბრიკები, რომლებიც ეხმარება პედაგოგს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში. **შესაბამისად, 2.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებლებს ისე აქვთ დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითარონ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი** კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულია ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი. მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა. საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყველო კათედრა მთელი ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შექმნაზე, რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. **შესაბამისად, 2.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო გარემო მოსწავლეთა საჭიროებებზე არის ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. მრავალფეროვანია და მოსწავლეზე მორგებულია სასწავლო პროგრამა, რესურსები და სასწავლო მასალა. შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. დავალებები აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებელი შეიმუშავებს დავალების ისეთ პირობას, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება შესაქმნელ პროდუქტთან დაკავშირებით. ისინი სასურველი ფორმით (ესე, მაკეტი, პოსტერი, ნახატი, მოხსენება,

პრეზენტაცია, კომიქსი, სცენარი, დიალოგი, ბროშურა, ბუკლეტი, აუდიოწიგნი, მეგობრული წერილი. და ა.შ.) წარმოადგენენ დავალების პროდუქტს. მასწავლებლებმა სსსმ მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავეს ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც ეფუძნება თითოეული მოსწავლის აქტუალურ დონეს და მათში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები, ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. ინდივიდუალურ გეგმებში მოახდინეს დავალებების მოდიფიცირება. მომავლისათვის დაიგეგმა სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნან ისეთი გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მაქსიმალურად განივითაროს საკუთარი პოტენციალი. ამჟამად სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში შექმნილია შესაბამისი პირობები, გამოყოფილია ოთახი, რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სკოლაში ხდება USAID საბაზისო პროგრამის ფარგლებში გაკვეთილების ჩატარება დიფერენცირებული მიდგომებით. იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, წყვილებში, სადაც მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით ხდება შექმნილი რესურსების გამოყენება. ამ მიმართულებით კვლავ გააააგრძელებენ მუშაობას. კურიუკულუმში ასახულია სსსმ მოსწავლეების ინტერესებიც. 2022-2023 ს/წელს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე, რომლებიც სარგებლობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სკოლაში შექმნილი ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს სსსმ მოსწავლეებზე ზრუნვას და შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **შესაბამისად, 2.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში შეფასება იწარმოება მკაფიოდ, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები ფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. წარმოდგენელია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კომპლექსური დავალებებისთვის, რომლებიც გაწერილია კურიკულუმის ჩარჩოში და დაგეგემილია მომდევნო სასწავლო წლისთვის. მოსწავლეების მიერ განსახორციელებელ დავალებებს დართული ჰქონდა ის შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებიდან და მიმართული იყო გრძელვადიან მიზნებზე. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს, იყენებს - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებს. მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეულია განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება, თემების მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნა. აღინიშნა, რომ ამჟამად ახორციელებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული კომპლექსური დავალებების განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. მასწავლებლები, რეფლექსიის მიხედვით ჩამოაყალიბებენ თვითგანვითარების გეგმას და გასაუმჯობესელ მიმართულებებს. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა წახალისებებს დიდი ყურადღება ენიჭება. მასწავლებელები წახალისების მრავალფეროვან ფორმას იყენებენ: სერტიფიკატები, დიპლომები. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში დიაგნოსტირება ჩატარდება ორჯერ. მონაცემთა დამუშავება მოხდება კათედრებზე და შედეგებს გაეცნობა სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას

მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ზოგჯერ ზეპირად, ზოგჯერ კი წერითი დავალებების ანალიზის მიმოხილვით. სამომავლოდ იგეგმება მოსწავლეთა წარმატებების უზრუნველსაყოფად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. სოლო ტაქსონომია, გასასვლელი ბარათები, დიაგნოსტიკური შეფასება. რომლის მიზანიც იქნება სწავლის ხარისხის გაკონტროლება, მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. **შესაბამისად, 2.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურზე, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაები ახდენენ გუნდური მუშაობით წინა წლის გამოცდილების ანალიზს, კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარი პრაქტიკიდან რამ გაამართლა, რას შეცვლიდნენ, მომავალში რას განახორციელებენ და მათი გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი. თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო ტესტირების შედეგების ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ითვალისწინებენ ქოუჩების მიერ მიცემულ რეკომენდაციებს, ესწრებიან სავალდებულო ტრენინგებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, რის შემდეგაც გეგმავენ ახალ კომპლექსურ დავალებებს და აგრძელებენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმზე მუშაობას. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმიდან ჩანს რომ პედაგოგებმა გაანალიზეს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი, გამოკვეთეს ძლიერ და სუსტი მხარეები, იყენებენ მიღებულ გამოცდილებას და აგრძელებენ მუშაობას ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. **შესაბამისად, 2.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის დანერგვის ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები;
- საგნობრივი კურიკულუმები, საგნობრივი პროგრამები, გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;
- საშუალო საფეხურის თემატური მატრიცები, კათედრის სხდომის ოქმები;
- სპეციალური მასწავლებლის სამუშაო გეგმა 2022 -2023 სასწავლო წელი;
- ინტერვიუ პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუ, ასევე სკოლის ფეისბუქგვერდი იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ხდება სასწავლო პროცესში მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივება. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობა. ამ მიმართულებით სკოლას მრავალი პროექტი აქვს განხორციელებიული, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კუთხით. ჩატარებული ინტელექტუალური თამაშები, საგნობრივი კვირეულები, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები. მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობისათვის ხდება მათი ინიციატივების წახალისება, მაგალითად პროექტი,, ვილაპარაკოთ აფხაზეთზე", რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეებში აფხაზეთის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. არაფორმალური განათლების კუთხით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეს წინსვლასა და ინდივიდუალური ინტერესების წარმოჩენაში. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებულია კომპლექსური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული და თვითონ იქნება შემოქმედი ამ პროცესის. **შესაბამისად, 2.2.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის პედაგოგებს გათავისებული აქვს კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპები. შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობები ისეა მოცემული, რომ ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და ხელს უწყობს მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში კარგად ჩანს თითოეულ სავალდებულო თემაში ქვესაკითხის, ქვეცნებისა და სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების კორელაცია, რაც კარგად გამოხატავს ცოდნის კონსტრუირებას კომპლექსური დავალებაში. **შესაბამისად, 2.2.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და დავალებები, რესურსები, აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, თვითშეფასება და სხვა იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას. **შესაბამისად, 2.2.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს საშუალო საფეხურზე შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.კურიკულუმებსა და მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე: დეკლარაციულ,

პროცედურულსა და პირობისეულზე. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რომ 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე, კერძოდ, მოსწავლეებს ექნებათ ცოდნის პრაქტიკაში, რეალურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობა. **შესაბამისად, 2.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს შეთავაზებული აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებები. მნიშვნელოვნია თემატური დაგეგმვა. თემა არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სასწავლო მასალასა და მოსწავლის ცოდნას შორის. კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე, მოსწავლემ უნდა იპოვოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებას და ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, რაც ააქტიურებს მის კომპეტენტურ უნარებს. სამომავლოდ იგეგმება უფრო მეტი დრო დაეთმოს პროექტულ აქტივობებსა და სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რათა მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა უკეთ ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტეგრაცია სასწავლო პროცესში სამყაროზე მთლიანობითი წარმოდგენის, ფორმირების, მოვლენების და პროცესების არსებითი ურთიერთკავშირის გაგების ხელშემწყობია. იგი ეხმარება ბავშვს გააერთიანოს, დააკავშიროს ცალკეულ საგანში მიღებული ცოდნა, დაეხმაროს მას შეიქმნას ერთიანი, მთლიანი, ფართო წარმოდგენა სამყაროზე, ბუნებაზე, საზოგადოებაზე და საკუთარ ადგილზე ამ სამყაროში. სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრი მასწავლებლების მიერ** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ყველა კომპლექსური დავალება დაიგეგმება ისე, რომ გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **შესაბამისად, 2.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- 2022-2023 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები, თემატური მატრიცები, შეფასების რუბრიკები;

- კათედრის სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- გასაუბრება პედაგოგებთან.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი, კურიკულუმის შესაბამისად, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში კარგად ჩანს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. ამასთან, მასწავლებლებმა გასაუბრებისას წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალებები, ნარატივის სახით და რეფლექსია მათზე. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების** (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) X კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის რიგი გარემოებები, რომლებიიც სასურველია, რომ გასწორდეს, კერძოდ,

   ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

   <u>I თემის (ელექტროსტატიკა)</u> თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია, მატერია და ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი;

   <u>II თემის (მუდმივი დენის კანონები)</u> თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი.

სკოლას მიეცა რჩევა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საშუალო საფეხურის (ფიზიკა) ფარგლებში კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სრულად გაითვალისწინოს გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, კერძოდ, ყველა სავალდებულო თემა გაწეროს იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

რაც შეეხება საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების XI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს, ვინაიდან პედაგოგებს ჯერ არ აქვთ გრიფირებული სახელმძღვანელოები და იგი ექნებათ 2023 – 2024 წლის სასწავლო წლის დაწყებამდე და მას აუცილებლად გაწერენ.

მოწოდებული საბუნებისმეტყველო საგნების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრული არის, თუ რომელი ძირითადი კონტექსტ - მაგალითებით იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს ქიმიაში, ბიოლოგიასა და ფიზიკაში, რადგან კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში განსაზღვრული არის ძირითადადი კონტექსტ - მაგალითი, მაგალითები შედარებისთვის და კომპლექსური დავალების იდეა.

შესაბამისად, 2.2.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პედაგოგებთან ინტერვიუს და კურიკულუმების განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე სწავლებისას სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეულ იქნა მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სასწავლო და სოციალურ პროექტებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარება. გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებას, მოსწავლეებს უვითარდებათ თვითშეფასებისა და თვითრეგულაციის უნარები. მოსწავლე სწავლობს პოზიტიური ურთიერთობების დამყარებას, გუნდურ მუშაობას, სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვას. **შესაბამისად, 2.2.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ. სისტემატურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებებსა და ურთიერთშეფასებას, მოსწავლის ჰოლისტური განვითარების შეფასების მექანიზმად კი სოლო-ტაქსონომიას, რომელიც ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, მასთან დაკავშირებულ საკითხებს და მათი გააზრების ხარისხს, ასევე ითვალისწინებენ რა გარემოში ცხოვრობს მოსწავლე, მის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. სამომავლოდ კათედრებზე დამატებით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა განსაზღვრავს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტსაც. **შესაბამისად, 2.2.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. კათედრებზე შემუშავებულია როგორც სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების, ისე განმავითარებელი შეფასების სქემები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის,

რომელთა გაცნობა ხდება მოსწავლეებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში და მთელი წლის განმავლობაშიც. შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. მოსწავლეებმა იციან რა კრიტერიუმებით მოხდება მათი შეფასება. სიტყვიერი კომენტარები მიმართულია წახალისება-დაზუსტება-რჩევის მიცემისკენ. შეფასების რუბრიკების შემუშავებაში ხშირად რთავენ მოსწავლეებს. სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. რუბრიკები გამოკრულია საკლასო ოთახებში თვალსაჩინო ადგილას. მომავალში შეფასების სანდოობისა და სამართლიანობის გაზრდის მიზნით აპირებენ მათ გაზიარებას მშობლებთან. რუბრიკების შექმნის პროცესში გაზრდიან მოსწავლეთა ჩართვის ხარისხსაც. **შესაბამისად, 2.2.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. კათედრებზე არსებობს პრაქტიკა, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. ვერიფიკაციას ახორციელებს დირექცია. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნების მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე (მაგალითად, დგება შედეგების რეიტინგი საგნებისა და კლასების მიხედვით) და ახორციელებს რეფლექსიას. თუმცა სამომავლოდ კათედრები გეგმავენ, რომ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადონ, შეიმუშაონ შეფასების ვერიფიკაციის ისეთ სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემთ საშუალო საფეხურის შედეგების სტატისტიკური ანალიზისათვის. **შესაბამისად, 2.2.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. დოკუმენტაცია ინახება სკოლის არქივში, რომელზეც პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, 2.2.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სკოლის თვითშეფასების ფორმა;

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები. თემატური მატრიცები;
- საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეებზე ზრუნვასა და მხარდაჭერას, რაც უზრუნველყოფს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. კათედრების პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, გამოცდილების გაზიარება და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება, რაც მიიღწევა ღიაობით, მიმღებლობითა და წახალისებით, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. **შესაბამისად, 2.2.3(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მრავალფეროვანი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული არიან სასწავლო პროცესში, იყენებენ კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მოსწავლეები სახვადასხვა ტემპითა და სტილით სწავლობენ, ამიტომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სისტემატიურად ხდება დაკვირვება მოსწავლეთა მიღწევების, რომელთა ანალიზის საფუძველზე იგეგმება სასწავლო პროცესი, სადაც მაქსიმალურად ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და

პროგრესზე, ხელს უწყობენ მოსწავლეების ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარებას, ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. ხდება საშუალო საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის, ერთმანეთზე ზრუნვის, პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბება. სასაწვლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწვლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას. **შესაბამისად, 2.2.3(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. თანამშრომლობითი კულტურა სკოლის ძლიერი მხარეა. კათედრებს შორის მიმდინარეობს კოორდინირებული მუშაობა. კათედრების სხდომის ოქმებიდან, სამუშაო შეხვეედრების ოქმებიდან და ინტერვიუდან ჩანს, რომ კათედრების წევრთა შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, აანალიზებენ მიღებულ შედეგებს. ზრუნავენ შედეგების გაუმჯობესებასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, ატარებენ მასაწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, განიხილავენ რესურსებსა და აქტივობებს. სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები, დირექცია) ინტენსიურად არიან ჩართულები სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. **შესაბამისად, 2.2.3(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი. ფიზიკური უსაფრთხოების გარდა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებაზე. ამ საქმეში კლასის დამრიგებლებთან და საგნების პედაგოგებთან ერთად ჩართულია მანდატურის სამსახური, სკოლის დირექცია. ამას ემსახურება არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებიც: თეატრალურ წარმოდგენებზე დასწრება, ექსკურსიები მუზეუმებში, ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, სხვადასხვა პროექტებში ჩართვა, სასკოლო კულტურაში დამკვიდრებულია მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სოციალური მხარდაჭერა, ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, მაღალი მორალური ღირებულებები. **შესაბამისად, 2.2.3(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი ჯგუფის შეხვედრის ოქმები;

- სკოლის ფეისბუქგვერდი;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესში ჩართულია სკოლის გუნდი, საგნობრივი კურიკულუმების დანერგვისა და განხორციელების პროცესს აკვირდება კათედრები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. მასწავლებლები თანამშრომლობენ მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფთან. აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავების პარალელურად ჩამოყალიბდება ,,კურიკულუმის მხარდამჭერი ჯგუფი“ რომელიც განახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფუნქციას. აღნიშნული ჯგუფში გაერთიანდებიან კათედრის ხელმძღვანელები, კათედრაზე არჩეული საგნის მასწავლებლები და დირექციის წარმომადგენელი. აღნიშნული ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას განახორციელებს თითოეული მასწავლებლის მიერ შესრულებული პროფესიული საქმიანობის რეფლექსიის საფუძველზე. **შესაბამისად, 2.3.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში ჩატარებულ გაკვეთილებს. USAID-ის პროგრამის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლების მხრიდან საფეხურზე განხორციელდა გაკვეთილებზე დასწრება, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ხდება არსებული ხარვეზების გამოვლენა და სამომავლო გეგმების დასახვა. პედაგოგები კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების შედეგებს. ერთბლივად გეგმავენ შედეგების გასაუმჯობესებელ სტრატეგიებს. გამოიკვეთა მზაობა მასწავლებლების მხრიდან, რომ მოახდენენ ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტაციის წარმოებას. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული იქნება ცვლილებების სახით. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **შესაბამისად, 2.3.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს, დგინდება საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რომელიც ორიენტირებულია მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე. კათედრას მონიტორინგისთვის შერჩეული აქვს ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობს პარალელურ კლასებში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე დაკვირვებას.სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი ახდენს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება ანალიზი, რამდენად ეფექტურია მიდგომები და ერთობლივად ისახება პრობლემების გადასაჭრელ გზებს. მომავალში შეფასებასთან წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად იგეგმაბე კვლევითი კითხვარის შექმნა, რომლის ანალიზის შედეგები აისახება სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ასევე სამომავლოდ უფრო მასშტაბურად, სტრუქტურიზებულად და სისტემურად იგეგმება დიაგნოსტიკური კვლევების მეთოდების გამოყენების გზით კურიკულუმის დანერგვის/ მიმდინარეობის პროცესის

მონიტორინგი. მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს კათედრები აუცილებლად გაითვალისწინებენ და შესაბამის ცვლილებებს შეიტანენ 2023-2024 სასწავლო წლისთვის დაგეგმილ კურიკულუმებში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **შესაბამისად, 2.3.1(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია.
- თვითშეფასების ფორმა.
- ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება უმეტესწილად ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, არა მარტო პროცენტულად რამდენი მოსწავლე რა შედეგზე გავიდა განმსაზღვრელი შეფასების მხრივ,

არამედ გამოაქვს დასკვნები რომელ საკითხს/აქტივობას კარგად გაართვეს თავი მოსწავლეებმა და რომელი საკითხში/აქტივობაში არის ხარვეზები. კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ რუბრიკებს, დაკვირვების სქემებს მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. იმ საგნებში, სადაც ამჟამად შეფასება სრულად ვერ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, არსებობს მზაობა იმისა, რომ მოხდება აღნიშნულის უზრუნველყოფა. იგეგმება, შეფასების ფორმას მისცენ სისტემური ხასიათი, რომელიც მოხდება სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც ხელს უშლის ან უწყობს ამ პროცესს გავთვალისწინებულია მრავალი კონტექსტი. მაგალითად, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები. ფასდება არა მარტო მოსწავლის ფაქტობრივი ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება და ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებული სააზროვნო უნარები. სამომავლოდაც, სკოლა გამოხატავს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, შესაძლებლობები იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის განვითარებაზე ახდენს გავლენას. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და მზად არიან შეიმუშაონ ეფექტური შეფასების მექანიზმები, რომლის მიზანია შეისწავლოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები, თუმცა, შეფასების ვალიდაციას სწორედ მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. მასწავლებლებთან ინტერვიუმ წარმოაჩინა მათი მზაობა შეფასებისას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **შესაბამისად, 2.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების საკმაოდ მრავალფეროვან მეთოდებს: კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. ჩანს, რომ პერსონალი შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს, ხდება სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. ამგვარი ერთობლიობა მეტნაკლებად უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლა მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად აპირებს განსაზღვროს ის საშუალებები, რომლითაც განახორციელებს სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას და მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნულ სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. გეგმავს მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარის გამოსავლენად მრავალმხრივი მეთოდების გამოყენებას, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში. **შესაბამისად, 2.3.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი: სოციალური გარემო, ოჯახი, ინტერესები- ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, თუმცა სკოლის შეფასების სისტემა დასახვეწია. სამომავლოდ

იგეგმება, რომ შეფასებისას მკაფიოდ გამოჩნდეს, თუ რა შიდა ან გარე ფაქტორებს ითვალისწინებენ მასწავლებლები შეფასების დროს ან რა ფაქტორებს გაითვალისწინებენ მომავალში. **შესაბამისად, 2.3.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო, კათედრების სხდომების ოქმები;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოცემულ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შექმნა, რომლის მიზანია გადაწყვეტილებების მიღება და სამომავლო პერსპექტივის შეფასება. ახალ სასკოლო კურიკულუმის რევიზიაზე მუშაობა წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაიწყო და ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს, სასწავლო რესურსებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას და მასთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებს. სამომავლოდ ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, ხდება დაკვირვება კურიკულუმის განხორციელების პროცესზე, გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლა და მონაცემების მოგროვება. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის, როდესაც კათედრა შეაჯერებს მათ ხელთ არსებულ მონაცემებს - გაკვეთილებზე დაკვირვებისა თუ მასწავლებლების რეფლექსიებს, განხორციელებულ შემაჯამებელი/კომპლექსური დავალებების შედეგებს (მოსწავლეთა მიღწევებს) - შეიმუშავებენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს, რაც ასევე დასტურდება გადმოგზავნილი სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტიდან. **შესაბამისად, 2.4.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ მუშაობას ამ კუთხით. კათედრები გეგმავენ, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნებოდეს წინარე გამოცდილებას. მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი და დირექტორი. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების SWOT ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. კათედრებმა გამოხატეს მზაობა, რომ ეს გამოცდილება გათვალისწინებული იყოს როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე და აცნობიერებენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებიც. **შესაბამისად, 2.4.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;

- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ფორმა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თ. მათითაიშვილი



10.10.2023წ
თარიღი